# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 13 მარტი 2003 №43 (1814) | ფასი 50 თეთრი




REUTERS მადრიდიდან

რეალი — მილანი 3:1. მადრიდელთა მესამე გოლში გუტის ზიდანმა უამხანაგა

## ფეხბურთი!
## ასრულებს რეალი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი მატჩების შედეგები და მცირე მიმოხილვა იხილეთ მეორე გვერდზე

## kicker
## უნერვო კობიაშვილი



ძალიან შთამბეჭდავი იყო, როგორ გარისკა ფრაიბურგის ქართველმა 86-ე წუთზე პენალტის დარტყმა

საინტერესოა, გადავა კობი „შალკეში" და გააგრძელებს შთამბეჭდავ კარიერას?

წერილი ბერლინიდან იხილეთ მეშვიდე გვერდზე

## მხატვარი VS ფედერაცია

საოლქო სასამართლომ ნახევარი მილიონი 30 ათასზე ჩამოიყვანა

ფედერაცია ემირ ბურჯანაძეს ფულს მაინც არ აძლევს

## ვლადიმერ სტეფანია: მაიამი ფულს და წუთებს მითვლის

წუწურაკი ფლორიდელების ქართველი ცენტრი ნაკრებში თამაშს არ უარობს




სტეფანია თუ ჩამოვიდა, ცქიტიშვილი თუ ჩამოვიდა, ბოისა თუ ჩამოვიდა, ფაჩულია თუ ჩამოვიდა... იქნებ საქართველოს ნაკრებს ეშველოს

ინტერვიუ ვლადიმერ სტეფანიასთან იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. V ტური

### C ჯგუფი

**რეალი 3:1 მილანი**

1:0, 2:0 რაული (12, 57), 2:1 რივალდო (82), 3:1 გუტი (86)
რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, კონსეისაო, ზიდანი (სოლარი 88), რაული (პორტილიო 89), რონალდო (გუტი 67)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მილანი: აბიატი, შიმიჩი (ნესტა 62), ლაურსენი, კოსტაკურტა, მალდინი, დალა ბონა (რუი კოშტა 46), ბროკი, რედონდო (პირლო 79), ზეედორფი, შევჩენკო, რივალდო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: დალა ბონა, რობერტო კარლოსი, შევჩენკო
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
90 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:0 ლოკომოტივი**

1:0 ფრინგსი (39), 2:0 კოლერი (58), 3:0 ამოროზო (66)
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, როიტერი, ვიორნსი, მეცელდერი, ფრინგსი, კელი, დედე (მადუნი 20), ევერტონი, კოლერი (რიკენი 70), ამოროზო (ჰერლიხი 82)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, სენიკოვი, მნგუნი, იზმაილოვი, მამინოვი, ობრადოვიჩი (ჟულიო სეზარი 46), პიმენოვი
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: მნგუნი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
50 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 5:3 | 12 |
| რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| დორტმუნდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |

*„მილანი" გავიდა მეოთხედფინალში*

### D ჯგუფი

**მანჩესტერი 1:1 ბაზელი**

0:1 ხიმენესი (14), 1:1 გ. ნევილი (53)
მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ბლანი (სქოულზი 74), ფერდინანდი, ოში, რიჩარდსონი (გიგზი 46), ბათი, ფლეტჩერი (ბექემი 74), ფ. ნევილი, სოლსკიაერი, ფორლანი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბაზელი: ცუბერბიულერი, ცვისიგი, მ. იაკინი, ჰაასი, ბარბერისი, კანტალუპი, ატუბა, ჩიპერფილდი, ჰ. იაკინი, ხიმენესი (ტუმი 77), როსი (მუგელი 63)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
გაფრთხილება: ფ. ნევილი, კანტალუპი
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
66 870 მაყურებელი

**იუვენტუსი 3:2 დეპორტივო**

1:0 ფერარა (12), 1:1 ტრისტანი (34), 1:2 მაკაი (51), 2:2 ტრეზეგე (63), 3:2 ტუდორი (90)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, დავიდსი, ტაკინარდი (ტუდორი 77), კამორანეზი (პესოტო 46), ნედვედი, ტრეზეგე, დი ვაიო (ზალაიეტა 46)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
დეპორტივო: ხუანმი, ექტორი, ნაიბეტი, სესარი (ჟორჟე ანდრადე 71), რომერო, სკალონი, მაურო სილვა, დუშერი, ფრანი (კაპდევილა 46), ტრისტანი (ვალერონი 66), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ტაკინარდი, მონტერო, დავიდსი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
25 070 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| იუვენტუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 7 |
| დეპორტივო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| ბაზელი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |

*„მანჩესტერი" გავიდა მეოთხედფინალში*

# იგორ ტუდორმა ვარიანტები გამოთვალა

*ლიგის ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა, გუშინდელმა სათამაშო დღემ კი მეოთხედფინალში იქამდე გასულებს — „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბარსელონა", „მილანი" — ვერავინ შემატა. ეგ კი არა, D ჯგუფში ისე ჩაიხლართა ვითარება, ვრცელი განმარტებაა საჭირო.*

*„მანჩესტერზე" ლაპარაკი არ გვაქვს, მეორე ადგილისთვის კი „იუვენტუსი" და „ბაზელი" აგრძელებენ ბრძოლას. თუ ბოლო ტურში „იუვენტუსმა" ბაზელში გაიმარჯვა, ყველაფერი ცხადი იქნება, მაგრამ თუ დამარცხდა, ორი შესაძლო ვარიანტი რჩება.*

*პირველი: „ბაზელი" უგებს „იუვენტუსს", ხოლო „დეპორტივო" „მანჩესტერს". ამ შემთხვევაში სამი გუნდი შვიდ-შვიდ ქულას დააგროვებს და მეორე ადგილი მათ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს დარჩება. თუ დავითვლით, აღმოჩნდება, რომ „იუვე" 7 ქულას აგროვებს, „ბაზელი" — ექვსს, ხოლო „დეპორტივო" — ოთხს. ანუ, თუ ბოლო ტურში „დეპორტივომ" მოიგო, ბაზელური მატჩის შედეგის მიუხედავად მეორე ადგილი ტურინელებს დარჩებათ.*

*მეორე ვარიანტი: თუ „დეპორტივომ" „მანჩესტერს" ვერ მოუგო, „ბაზელმა" კი „იუვენტუსს" სძლია, შვიდ-შვიდი ქულა ამ ორს დარჩება. აქ კი უკვე ურთიერთშეხვედრებში გატანილ-გაშვებულ ბურთებს დაითვლიან. „იუვეს" ტურინში 4:0 აქვს მოგებული და „ბაზელს" ჯგუფიდან გასასვლელად შინ იგივე ანგარიშით მოგება სჭირდება. თუ შვეიცარიელებმა, ვთქვათ, 5:0 მოიგეს, იტალიელებს ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგით გადაუსწრებენ, ხოლო 4:0-ის შემთხვევაში, ყველა მატჩის გათვალისწინებით ბურთების უკეთესი შეფარდებით. თუმცა ამ ვარიანტების გათვალისწინებით, ჯგუფიდან გასვლის მეტი შანსი მაინც „იუვენტუსს" აქვს.*

*„დეპორტივო" კი... ლაკორუნიელები „დელე ალპიზე" იგებდნენ და იგორ ტუდორს 93-ე წუთზე რომ არ გაეტანა, სულ სხვა ვარიანტების გათვლა მოგვიხდებოდა.*

*C ჯგუფში „რეალმა" სამი გოლი გაუტანა დაბნეულ „მილანს", რითაც კიდევ უფრო მიუახლოვდა სანუკვარ მეორე ადგილს. ახლა მისი ჯგუფში ჩატოვება „ლოკომოტივის" მარიფათზეა დამოკიდებული, რომელმაც 0:3 წააგო დორტმუნდში.*




REUTERS ფოტოქრონიკა

იური სიომინი და მათიას ზამერი: რუსი ღრიალებდა, გერმანელი იცინოდა



REUTERS ფოტოქრონიკა

რეალი — მილანი 3:1. დარიო შიმიჩს ლუიშ ფიგუსთან გამკლავება გაუჭირდა

# ნიუკასლმა ვიერი სიტყვაზე გამოიჭირა

ვერ მოქცეულა კრისტიან ვიერი კარგად. სამშაბათს, „ინტერისა" და „ნიუკასლის" საჩემპიონთალიგო მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მილანელმა ფორვარდმა ნიუკასლელთა კონგოელს უწესო რამ უთხრა. ციტატას ზუსტად ვერ მოვიყვანთ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ვიერიმ ლუა ლუას კანის ფერზე გადაუკრა სიტყვა.

ამგვარ რამეებს ფიფა-უეფა სასტიკად ებრძვის და ამით შეგულიანებულმა „ნიუკასლმა" უეფაში იჩივლა. პასუხს ველით.



# სადღაა ფარა?
## ადომ ბლატერს ხელი დაადო. ბლატერმაც დაადო

**სომალის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ფარა ადომ თხარა, თხარა და, ერთი, რომ ნებისმიერი საფეხბურთო საქმიანობიდან გაძევებული დარჩა და მეორე, ფიფას პრეზიდენტს, ზეპ ბლატერს ჯარიმა, 7 519 დოლარი გადაუხადა. ასეთი ვერდიქტი შვეიცარიაში, მაილენის სასამართლომ გამოიტანა.

ახლა მთელი ამ უბედურების მიზეზი ვთქვათ: 2002 წლის თებერვალში ადომ განაცხადა, რომ ბლატერი 1998 წელს, ფიფას პრეზიდენტად ქრთამის საფასურად აირჩიეს. მან ხელი დაადო ალმასკომის ყატარელ წევრს მუჰამედ ბინ ჰამანსაც, რომელიც მისი მტკიცებით, ამ საქმეებში იყო გარეული, მაგრამ თავისდა საუბედუროდ დამტკიცება ვერაფრისა შესძლო.

ფარა ადოს მარცხმა ისიც გამოიწვია, რომ ფიფამ სომალის ფეხბურთის ფედერაციას ფინანსური დახმარების პროგრამა შეუწყვიტა.

სომალის ფეხბურთის ფედერაციის ბედი ბურუნდიისა და პუერტო რიკოს ფეხბურთის ფედერაციებმაც გაიზიარეს. აღსანიშნავია, რომ როგორც ერთ, ასევე მეორე ქვეყანაში, ფიფამ სომალის მსგავსად კომისია გაგზავნა და იქაურები თანხების არასწორ ხარჯვაში გამოიჭირა. გასაგებად რომ ვთქვათ, ფიფა ამ ფედერაციებისთვის თანხებს გამოჰყოფდა, ფედერაციები თანხათა დიდ ნაწილს იჯიბავდნენ, ხოლო ფიფა თვალებს ხუჭავდა, სანამ ადომ არ გააბრაზა. ახლა მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოში აცხადებენ, რომ რიგში ნეპალი, ვიეტნამი და ჩილე არიან. მათ აპრილამდე უნდა დაამტკიცონ, რომ მიცემულ ფულს საქმეში ხარჯავენ და არა რესტორანში, უხეშად რომ ვთქვათ.

ფინანსური დახმარების პროგრამა 1999 წელს შეიქმნა და თითოეულ ფედერაციას ოთხ წელიწადში მილიონი დოლარი გამოუყო. წესითა და რიგით, ამ პროგრამით მიღებული ფული ქვეყნებმა ინფრასტრუქტურის განვითარებაში, გუნდების შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის და კიდევ რამდენიმე მიზნისთვის უნდა დახარჯონ.



ზეპ ბლატერი

**ბაჩუნა ძიდია**

### ინგლისი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

პორტსმუთი 3:2 ნორვიჩი
შეფილდ იუნ. 4:2 ბარნლი
რედინგი 0:1 ვულვერჰემპტონი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

სუინდონი 0:3 ჩელტენემი

### შოტლანდია

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ისტ სტირლინგი 0:3 მონტროუზი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

კაენი 2:0 ნანსი

### ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ვრაასხაპი 1:0 უტრეხტი

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

პაშინგი 3:0 რიდი

### საბერძნეთი

თასის 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

ოლიმპიაკოსი 1:2 პაოკ (1:3)

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. A ჯგუფი

# ათი ათასი ნაღვლიანი სახე



REUTERS მილანიდან

სერჟიუ კონსეისაუმ და ტიტუს ბრემბლიმ ჩოქბჯენშიც გაიბრძოლეს



ბიბლიოთეკა

REUTERS მილან

ფრანჩესკო ტოლდოს ბურთი ხელიდან რომ არ გავარდნოდა, ვინძლო „ინტერი" უკვე მეოთხედფინალში ყოფილიყო

**ინტერი 2:2 ნიუკასლი**

0:1 შირერი (42), 1:1 ვიერი (47), 1:2 შირერი (49), 2:2 კორდობა (61)

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, კანავარო, კოკო, კონსეისაუ, დი ბიაჯო, ოკაკი, გულიელმინპიეტრო (მარტინსი 46), ემრე (პასკუალე 78), ვიერი

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ე. ობრაიენი (ჰიუზი 59), ბრემბლი, ბერნარი, სოლანო (ლუა ლუა 83), ჯენასი, სპიდი, რობერი (ვიანა 83), შირერი, ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: კონსეისაუ, ბრემბლი, ვიერი, ბელამი, დი ბიაჯო, ლუა ლუა, შირერი

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

53 459 მაყურებელი

„სან სიროდ" წოდებულ ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე, „ნიუკასლ იუნაიტედთან" შეხვედრაში, მასპინძელმა „ინტერმა" ორჯერ გაათანაბრა ანგარიში და მიღწეულმა ფრემ მილანური კლუბი ერთი ნაბიჯითაც მიუახლოვა მეოთხედფინალს.

აღნიშნულმა შედეგმა „ინტერს" A ჯგუფში მეორე ადგილი შეუნარჩუნა და კვლავაც ერთი ქულით უსწრებს სერ ბობი რობსონის გუნდს. მომდევნო კვირაში მილანელები „ლევერკუზენს" ესტუმრებიან, რომელმაც ჯგუფში ხუთივე თამაში წააგო და რაღა ბოლო ტურში გაიგიჟებს თავს. არადა, სამშაბათს საღამოს, მატჩის მსვლელობისას, „ინტერის" ჯგუფიდან გასვლის შანსი ნულისკენ იწევდა — „კაჭკაჭთა" ახლანდელმა და ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ალან შირერმა ორჯერ დააწინაურა მიმხვდურები, მაგრამ კრისტიან ვიერიმ და ივან კორდობამ „ინტერი" დალუპვას, „სან სირო" კი ეგებ დარბევასაც გადაარჩინეს.

„ნიუკასლი" ორჯერ კი იგებდა, მაგრამ თამაში რაღაც დაბნეულად დაიწყო და კინაღამ დაისაჯა. ენდი ობრაიენმა სულელურად დაკარგა ბურთი, რომელიც იტალიელთა თურქმა ემრე ბელოზოღლუმ მოიხელთა, თუმც ბოლო ფაზაში სიზუსტემ უმტყუნა — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსანმა კარს ზემოდან გადააცილა.

მაგრამ ვითარება მალევე შეიცვალა და ემრეს დარტყმიდან ხუთიოდ წუთში ხიფათი საპირისპირო კართან შეიქმნა. ბურთი ნოლბერტო სოლანოს მიუვიდა, რომელმაც ოცი მეტრიდან ღონივრად დაარტყა და ფრანჩესკო ტოლდოს კარის ხარიხა შეაზანზარა. მალე სოლანოს კიდევ ერთი შანსი მიეცა. შირერმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, ბურთს მასპინძელი მცველები ვერ შესწვდნენ და პირდაპირ პერუელს დააჯდა ფეხზე. ნიუკასლელთა სავალალოდ და მილანელთა გასახარად, სოლანოს დარტყმულს ტოლდო გადაეფარა.

მოგვიანებით გოლიც მომწიფდა, თუმცა იქამდე ერთი კარგი მომენტი ჯერმენ ჯენასმაც შექმნა. ინგლისელი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და მიუხედავად იმისა, რომ იერიშის გაგრძელების ყველაზე გონივრული გზა ბურთის უმეთვალყურეოდ დარჩენილი შირერისთვის გადაცემა გახლდათ, ჯენასმა თავად დაარტყა და ტოლდომ ისევ იხსნა კარი. 39-ე წუთზე უკვე შეი გივენს მოუხდა ფაბიო კანავაროს ყუმბარისებული დარტყმის მოგერიება, სამ წუთში კი შირერმა, როგორც იქნა, კრეიგ ბელამის მარჯვნიდან ჩაკიდებულს დაჰკრა და გაიტანა.

მეორე ტაიმი ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ უკვე შეი გივენს მოუხდა ბურთის კარიდან გამოტანა. კრისტიან ვიერიმ, რომელსაც საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში აქამდე ერთხელაც ვერ ეხეირა, სერჟიუ კონსეისაუს ჩაწოდებულს მიმართულება უცვალა და ანგარიში გაათანაბრა.

ამის მერე, ერთ ხანს იფიქრებდით, რომ ტრავმებით გატანჯულმა „ინტერმა" საბოლოოდ ჩაიგდო ხელში უპირატესობა, მაგრამ ეს ფიქრი ილუზია გამოდგა და მალევე გაიფანტა. ვიერის გოლიდან ორ წუთში ტოლდომ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა (ბელამიმ დაარტყა). შირერი, როგორც სჩვევია, საჭირო ადგილას აღმოჩნდა და „ნიუკასლი" ისევ დააწინაურა. „სან სიროზე" მხიარული ყიჟინა ატყდა — ხუმრობა ხომ არ არის, ინგლისელებს მილანში ათი ათასი ქომაგი ჩაჰყოლოდათ.

თუმცაღა, „ინტერმა" მეორედაც გაათანაბრა. ემრემ შორეული ძელისკენ ჩააწოდა ბურთი, სადაც კორდობამ საჰაერო ბრძოლა მოუგო ენდი გრივინს და დაბალ კუთხეში თავით გაიტანა.

თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათი კიდევ რჩებოდა და მაყურებელი დაძაბულ დასასრულს ელოდა. ეფექტი კი საპირისპირო გამოდგა. მართალია, გარი სპიდმა და კრეიგ ბელამიმ ორიოდე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ეს ბოლო ნახევარი საათი ხალხს უპირველესად ყვითელი ფერის სიმრავლით დაამახსოვრდა. კორდობას გოლის მერე მსაჯმა ხუთჯერ წაიღო ჯიბისკენ ხელი. ერთი გაფრთხილება კრისტიან ვიერისაც ერგო, რაც მისთვის მეორე გამოდგა და, შესაბამისად, ბოლო ტურის მატჩს გამოტოვებს. ეს „ინტერისთვის" დიდი დანაკლისია — მოგეხსენებათ, მილანელებს ეს ერთადერთი გამოცდილი ფორვარდი ჰყავთ მწყობრში.

ამის თაობაზე ექტორ რაულ კუპერმა თქვა, ერთადერთი ნომინალური თავდამსხმელი, მარტინსი დაგვრჩა და მართალია, გამოცდილება აკლია, მაგრამ ბოლო ტურში მისი დიდი იმედი მაქვსო.



REUTERS ბარსელონიდან

პატრიკ ანდერსონმა (№4) კრისს ბონანოსთვის გატანა არ დაანება

# ანტიჩის ორიენტაცია

## ახლა რანი ვართ, მერე რა ვიქნებით

**ბარსელონა 2:0 ლევერკუზენი**

1:0 სავიოლა (17), 2:0 დე ბური (49)

ბარსელონა: ბონანო, გაბრი, დე ბური (ოლეგერი 63), ანდერსონი, რაიციგერი, მენდიეტა, ხავი, ოვერმარსი (ინიესტა 69), რიკელმე, კლუივერტი, სავიოლა (მოტა 46)

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

ლევერკუზენი: ბუტი, ოჯიგვე, კლაინი, კრისი, კალუჟნი, შიმაკი, ბალიტჩი, ბაშტურქი (შნაიდერი 74), ბაბიჩი (ოოგანი 33), ფრანცა, ბერბატოვი (ბრდარიჩი 58)

მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი

გაფრთხილება: ოვერმარსი, კრისი, კალუჟნი, კლაინი

მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)

95 000 მაყურებელი

„ბარსელონას" სერბმა მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა ნამატჩევს თქვა, ბიჭების გარჯით კმაყოფილი ვარ და ასეთი თამაშით ჩემპიონთა თასის მოგებასაც შევძლებთ, რაც თავის მხრივ კვლავ სუპერკლუბად გვაქცევსო. „ბარსელონა" იოლად გაუმკლავდა ლევერკუზენელთა ადრეულ შტურმს, მერე თავად იგდო ხელში მატჩის სადავეები და ხავიერ სავიოლამ მალევე გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ფრანკ დე ბურმა მეორეც შეაგდო და საბოლოოდ „ბარსამ" საამსეზონო ლიგაში მეთორმეტე გამარჯვება მოიპოვა, შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული კი მეთოთხმეტე წაუგებელი მატჩი ჩაატარა და ექვსიღა უკლია „აიაქსის" ძველი რეკორდის გამეორებამდე.

სტუმრებმა, როგორც მოგახსენეთ, თამაში მწვავე იერიშებით დაიწყეს. პირველსავე წუთებზე გერმანელთა ჩეხ ნახევარმცველ იან შიმაკს ჰქონდა კარგი შანსი, მაგრამ საჯარიმოში შეჭრილს ბოლო წამს დე ბურმა აართვა ბურთი. თითქმის მაშინვე ბრაზილიელმა ფრანცამ სულ ოდნავ გადააცილა ხარიხას. ამ ორ ეპიზოდს ისევ შიმიჩის, კრისისა და დიმიტარ ბერბატოვის სახიფათო გარღვევები მოჰყვა, მაგრამ ბონანომ, დე ბურმა და პატრიკ ანდერსონმა გატანა არ დაანებეს. სხვათა შორის, შვედი მცველი ამ სეზონში პირველად გამოჩნდა სასტარტო შემადგენლობაში.

და მაშინ, როცა „ლევერკუზენი" თითქოს საბოლოოდ დაეუფლა უპირატესობას, „ბარსელონამ" გაიტანა.

მარკ ოვერმარსმა მარჯვენა ფრთაზე მეურვე ჩამოიცილა და საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი. იქ ხავიერ სავიოლა იყო ჩასაფრებული, ბურთი ფეხზე კარგად მოირგო და დაბალი დარტყმით ანგარიში გახსნა.

„თავიდან საკმაო უპირატესობას ვფლობდით — დაიჩივლა გერმანელთა დროებითმა მწვრთნელმა თომას ჰიორსტერმა — მაგრამ მუდამ ეგრე ხდება, როცა ამდენი მომენტიდან ვერაფერს გამორჩები, მეტოქე გონზე მოდის და გსჯის."

გოლის მერე „ბარსელონამ" თამაშის რიტმი სრულიად შეიგრძნო და ისეთი თამაში დაიწყო, ანტიჩის ქება დაიმსახურა. ხავი და ხუან რიკელმე საიმედოდ აკონტროლებდნენ მოედნის შუაგულს, მარკ ოვერმარსის წამალი კი გერმანელებმა ვერა და ვერ იპოვეს.

შესვენების შემდეგ ანტიჩმა სავიოლა ტიაგო მოტათი შეცვალა. მოგეხსენებათ, ფორვარდის ნახევარმცველით შეცვლა დაცვაზე ორიენტაციის გაძლიერებას ნიშნავს, თუმცა „ბარსელონას" იერიშებს ამით სიმწვავე არ მოჰკლებია. მატჩის განახლებიდან ოთხ წუთში კი მეორე გოლიც გავიდა. ხავიმ კუთხური ჩააწოდა, ბურთს ახლო ძელთან ტყუპისცალი ჰოლანდიელი დახვდა და თავი დაჰკრა. სანამ ბადეში გაეხვეოდა, ბურთს იქვე მყოფი გერმანელი მცველი თომას კლაინიც გაეხახუნა.

ამის მერე თამაშმა მიმზიდველობა დაკარგა. ხუან რიკელმემ ორჯერ სცადა შორი მანძილიდან გატანა და სულ ეგ იყო, არც ბონანო და არც ბუტი ფორვარდებს სერიოზულად აღარ შეუწუხებიათ.

რადომირ ანტიჩმა კი დასძინა: „იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი დაშავებული გვყავს და მაინც კარგად ვითამაშეთ. მეოთხედფინალამდე ოთხი კვირაა და იმ დროისთვის ისინი ტრავმებს მოიშუშებენ, რაც გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს. ახალბედებმა კი დაამტკიცეს, რომ გამოცდილ მოთამაშეთა შეცვლა წარმატებით შეუძლიათ."

მეორე ტაიმში დე ბური სარეზერვო გუნდიდან მიწვეულმა ოლეგერ პრესასმა შეცვალა, ოვერმარსის მაგიერ კი ანდრეს ინიესტა შევიდა. მათ თამაში ნაღდად არ წაუხდენიათ. ახლადმომჯობინებული პატრიკ ანდერსონი კი საერთოდ უშეცდომოდ გაისარჯა.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:11 | 7 |
| ლევერკუზენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5:13 | 0 |

*„ბარსელონა" გავიდა მეოთხედფინალში*

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. B ჯგუფი

# დავთვალეთ და გავგიჟდით

## მაიერმა ტოტი შეისწავლა



REUTERS ლონდონიდან





ფრანჩესკო ტოტის მარტინ კიოუნისთვის არ ჩაურტამს — ამტკიცებს ფაბიო კაპელო

**არსენალი 1:1 რომა**

**1:0 ვიეირა (12), 1:1 კასანო (45)**

**არსენალი: სიმენი, ლორენი (კანუ 88), კიოუნი, სიგანი, ვან ბრონკჰორსტი, ვილტორდი (ლიუნგბერგი 73), ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (ჯეფერსი 73)**

**მწვრთნელი: არსენ ვენგერი**

**რომა: პელიცოლი, პანუჩი, სამუელი, ალდაირი, კანდელა, კაფუ, ლიმა, ემერსონი, ტომაზი, ტოტი, კასანო (მონტელა 62)**

**მწვრთნელი: ფაბიო კაპელო**

**გაფრთხილება: კასანო, ვან ბრონკჰორსტი, სამუელი, ალდაირი**

**გაძევება: ტოტი (22)**

**მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)**

**35 472 მაყურებელი**

**პრეზიდენტ** რეიგანს დაავიწყდა ძველი ქართული ანდაზა... ხუმრობდნენ 80-იან წლებში. სწორედ ეს ხუმრობა გაგვახსენდა: ფრანჩესკო ტოტის დაავიწყდა ძველი ქართული ანდაზა, სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობსო. აი, თუ არა: შვეიცარიელი მსაჯი ურს მაიერი, შვეიცარიული პედანტიზმით მომზადებულა „არსენალისა“ და „რომას“ შეხვედრის გაძღოლისთვის და ყველაფერთან ერთად ცალკეული მოთამაშეების დახასიათებები გადაუკითხავს. ფრანჩესკო ტოტის თვისებებიდან ყურადღება მის ხრიკმაისტერობაზე გაუმახვილებია და, როგორც კი საშუალება იხელთა, „რომას“ კაპიტანი დასაჯა, წითელი ბარათი ამოუღო. იყო თუ არა იმ ეპიზოდში ტოტი გასაგდები, ჩვენი აზრით, ფრიად საკამათო საკითხია, ისევე, როგორც ის, რამდენად სწორია მსაჯისგან შეხვედრის 22-ე წუთზე (თუნდაც სხვა დრო იყოს) ზედმეტად გაბედული ჩარევა. აქ საქმე ის კი არ არის, რომელი გუნდი მოიგებს ჩარევის, ან ჩაურევლობის შემთხვევაში, აქ საქმე ფეხბურთია. ხალხს თამაშის ნახვა სურს, თამაშით კი მოთამაშეები თამაშობენ და ამიტომ, მათ გაყრა-გამოყრას, უკიდურესად იშვიათად და ძალიან თვალსაჩინო შემთხვევებში უნდა მისდევდნენ.

მანამდე კი „არსენალმა“ ანგარიში გახსნა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ალდაირმა პატრიკ ვიერას ნაკლები ყურადღება დაუთმო და ფრანგმა თავურით გახსნა ანგარიში.

„რომამ“ უკვე უმცირესობაში დარჩენილმა, შესვენებამდე, მსაჯის წამატებულ წუთებში გაათანაბრა. ეს ანტონიო კასანომ შეძლო, რომელმაც ემერსონისგან გრძელი პასი მიიღო და ლონდონელთა დაცვის შეცდომის წყალობით დევიდ სიმენთან პირისპირ დარჩა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „არსენალმა“ თავისებური, ლამაზი და ხშირ შემთხვევაში შედეგიანი ფეხბურთი ააწყო, მაგრამ ამჯერად სამი სწრაფი და გამართული კომბინაცია ზუსტი დარტყმით ვერ დააგვირგვინა. ჯერ სილვენ ვილტორდმა, შემდეგ რობერ პირესმა, ბოლოს კი ტიერი ანრიმ საჭიროზე მაღლა დაარტყეს ბურთი.

დასასრულს კი, რომაელმა ვინჩენცო მონტელამ ვერ გამოიყენა ჩინებული საგოლე მომენტი, თავურით ბურთი მიზანს ახლოდან ააცილა.

მატჩის შემდეგ „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა:

„ჩემი ფეხბურთელებისა მწამს. ვიცი, ისინი ძლიერები არიან. ჩვენ, ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში, სტუმრად ძლიერად ვთამაშობთ, მოვიგეთ რომში, ფრედ ვითამაშეთ ამსტერდამში და, იმედი მაქვს, ვალენსიაშიც სასურველ შედეგს მივაღწევთ. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, დაითვალეთ, რამდენჯერ დავარტყით კარის მიმართულებით ჩვენ და რამდენჯერ მეტოქემ. ამ ციფრების მნახველი შეიძლება გაგიჟდეს კაციო.“

„რომას“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ყურადღება, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირველეს ყოვლისა, ფრანჩესკო ტოტის გაძევებაზე გაამახვილა:

„ტოტიმ ხელი გაშალა, მეტი არაფერი უქნია. იგი მცველის სახეს არც კი შეხებია, დანარჩენი მცველმა გააფორმა. ტოტის გაძევება მსაჯის შეცდომა გახლდათ. ზოგადად კი ნამდვილი ხასიათი გამოვამჟღავნეთ. „არსენალის“ მსგავსი, საუცხოო გუნდისთვის ქულის ართმევა ჩვენთვის ჩინებული შედეგია. საერთოდაც, რასაც ბოლო ორ შეხვედრაში მივაღწიეთ, იმაზე მეტია, ვიდრე ველოდით. ახლა მეოთხედფინალში გასვლის შანსი გვაქვს“.

ბოლოს კი ისევ ვენგერმა თქვა: „ჩვენი ჯგუფი იმდენად ძლიერია, რომ წინასწარ მწყდება გული, აქედან ორი გუნდი რომ უნდა გავარდეს“.

**პაატა ძედია**

# დამქაჩა, დავქაჩე

## კუმანმა აიაქსზე ბევრი და კარგი ილაპარაკა

**აიაქსი 1:1 ვალენსია**

**0:1 კილი გონსალესი (28პ), 1:1 პასანენი (58)**

**აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, კივუ, პასანენი, ჯ. ობრაიენი, დე იონგი (ვან დერ მეიდე 46), გალაშეკი, პიენაარი, მაქსველი, ვან დერ ვაარტი, იბრაჰიმოვიჩი**

**მწვრთნელი: რონალდ კუმანი**

**ვალენსია: კანისარესი, რევეილიერი, პელეგრინო, აიალა (მარჩენა 88), კარბონი, რუფეტე, ბარახა, ალბელდა, კილი გონსალესი, აიმარი (ხუან სანჩესი 84), კარეუ (მისტა 64)**

**მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი**

**გაფრთხილება: კილი გონსალესი, ვან დერ ვაარტი, ბარახა, პიენაარი, კანისარესი, პელეგრინო, კივუ**

**მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)**

**50 000 მაყურებელი**

**ბოლო ტურში** ასე იქნება: „აიაქსი“ რომის „ოლიმპიურ სტადიონზე“ ჩავა (ეს ის სარბიელია, სადაც ამსტერდამელებმა „იუვენტუსთან“ 1996 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგეს), იქ „რომა“ დაუხვდება და თუ ქულას მაინც მოიპოვებს, მეოთხედფინალისტი გახდება. ეს ყველაფერი კი იმიტომ, რომ რონალდ კუმანის ახალგაზრდა გუნდმა, სამშაბათს, „ამსტერდამ არენაზე“ 1:1 ითამაშა „ვალენსიასთან“.

„ვალენსია“ ჰოლანდიის დედაქალაქს ნარინჯისფერი მაისურებით ესტუმრა — ნარინჯისფერი, მოგეხსენებათ, ჰოლანდიის ნაკრების, ანუ ამსტერდამელი ქომაგებისთვის შინაური ფერია — და ანგარიში გახსნა: ფრანსისკო რუფეტე ტომაშ გალაშეკმა წააქცია, ხოლო კილი გონსალესმა პენალტი გაუტანა. მასპინძლებმა მეორე ტაიმში გაათანაბრეს. მათგან გოლი ფინელმა პეტრი პასანენმა თავით შეაგდო, „აიაქსის“ მწვრთნელი, რონალდ კუმანი საბოლოოდ კმაყოფილი დარჩა.

„ჩვენ დღეს ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ვეთამაშეთ და ჩინებული მეორე ტაიმი გამოგვივიდა. ამ შეხვედრაში თუკი ვინმე გამარჯვებას იმსახურებდა, ეს „აიაქსი“ გახლდათ“.

გეხსომებათ, ამსტერდამელებმა „ვალენსიასთან“ პირველ შეხვედრაშიც 1:1 ითამაშეს, მაგრამ მაშინ უპირატესობას ესპანელები ფლობდნენ და ფრე „აიაქსისთვის“ იღბლიანი შედეგი გამოდგა, მაშინ, როდესაც სამშაბათს კუმანის მოთამაშეებმა მეტოქეს ტოლი არ დაუდეს.

„ეს მატჩი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ჩვენთვის საუკეთესო იყო — განაგრძო კუმანმა — ნუ დაგვავიწყდება, რომ „ვალენსია“ ბოლო ოთხ სეზონში ორჯერ ფინალისტი იყო და ბევრჯერ დაუმტკიცებია, რომ სტუმრად თამაში ძალიან ეხერხება. და ყოველივე ამის მიუხედავად, ჩემმა ბიჭებმა ეს გუნდი გვარიან წნეხში მოაქციეს. ერთი სიტყვით, საკუთარ გუნდს მხოლოდ კომპლიმენტებს თუ ვეტყვი“.

„ვალენსიამ“ ამ მატჩის წინ, მოგეხსენებათ, შინ, „რომასთან“ 0:3 წააგო. მანამდე ესპანეთის ამ გუნდს მშობლიურ „მესტალიაზე“ ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ ჰქონდა წაგებული.

ისევე როგორც „აიაქსს“, „ვალენსიასაც“ შეეძლო „ამსტერდამ არენაზე“ გამარჯვება, მით უფრო, რომ იმარჯვებდა, მაგრამ მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი მაინც არ დარჩა უკმაყოფილო.

„შედეგით უკმაყოფილების საბაბი არ გვაქვს. ჩვენი წილი შანსებიც გვქონდა, მეორე ნახევარში კი მსაჯის ხშირმა სტვენამ შეხვედრის რიტმი არია. იძულებულნი გავხდით, უპირატესად გრძელი პასებისთვის მიგვემართა, რაც ჩვენი მთავარი კოზირი სულაც არ არის“.

აიაქსელმა პასანენმა ანგარიში კუთხურიდან გაათანაბრა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვალენსიამ“ სტანდარტული სიტუაციებიდან ბოლო შეხვედრებში ზედიზედ მეხუთე გოლი გაუშვა.

„გოლი სტანდარტულიდან გავუშვით თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს — განმარტა ბენიტესმა — ჩვენ დასკვნები მორიგი გოლის გაშვებიდან უნდა გამოვიტანოთ და არა გაშვებული გოლის ნაირსახეობიდან“.

ახლა პენალტზე, რომელიც „ვალენსიამ“ დაარტყა. აი, რა თქვა ჩეხმა გალაშეკმა, რომელმაც რუფეტე წააქცია და ამ თერთმეტმეტრიანით დაისაჯა“.

„თავიდან რუფეტემ დამქაჩა, მერე კი მე დავქაჩე მკლავზე და მსაჯმა პენალტი დანიშნა. მართალი გითხრათ, ამ ეპიზოდში ყვითელი ბარათი რომ არ მაჩვენეს, გამიკვირდა. ძალიან უიღბლო მომენტი იყო“.

**პაატა ძედია**



REUTERS ამსტერდამიდან

ფრანსისკო რუფეტე ჯონ ობრაიენს ისე შეაჯდა, თითქოს ამსტერდამელი მფრინავი ხალიჩა ყოფილიყოს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:3 | 7 |
| ვალენსია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| რომა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |

## უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. დღეს UEFA CUP

ლაციო (იტალია) — ბეშიქთაში (თურქეთი)
სელტიკი (შოტლანდია) — ლივერპული (ინგლისი)
მალაგა (ესპანეთი) — ბოავიშტა (პორტუგალია)
პორტუ (პორტუგალია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

# ქორფაა, მაგრამ ასე მგონია...

## ულიემ ოუენის თავ-ფეხი საქვეყნოდ გამოაჭენა





„სელტიკი“ — „ლივერპული“ უეფას თასის ფინალს დაამშვენებდაო, რომ ვთქვათ, სიმართლე იქნება, მაგრამ ამ წყვილისეული ფეხბურთი მხოლოდ ფინალურ ჩარჩოებში ვერ მოექცევა, არა მხოლოდ შოტლანდია-ინგლისის დაპირისპირების გამო.

„სელტიკის“ ცქერა თმას ნებისმიერ ქომაგს აუბურძგნის, რასაც ამჟამინდელ „ლივერპულზე“ ვერ ვიტყვით. თუმც მერსისაიდული კლუბის ჩამოწერა თუნდაც „ბირმინგემთან“ ერთი მარცხის გამო სისულელე იქნება. „ბირმინგემთან“ წააგო? მერე რა, ლიგის თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩაყლაპა.

„ლივერპული“ დიდია და დიდების წამალი იცის. ჰოდა, როცა ორი ბუმბერაზი ერთმანეთს ხვდება, იქ მიწაც იძვრის. დღეს გლაზგოს „სელტიკ პარკი“ შეირყევა. ასეთი წყვილის მეოთხედფინალისტობა მხოლოდ ბრმა კენჭისყრის ბრალია, მაგრამ ხანდახან არც ესაა მთლად ურიგო. ესენი ფინალში რომ შეხვედროდნენ, ერთი მატჩი იქნებოდა, ახლა კი ორი დიდებული შეხვედრა გაიმართება.

„სელტიკი“ „რეინჯერსის“ ძლევის შემდეგ კარგ ხასიათზეა. უხასიათობას არც ლივერპული უჩივის, ლიგის თასს დაეპატრონა და „ბოლტონთანაც“ იმარჯვა. ლივერპულელებს სტეფან ანშო დააკლდებათ. შვეიცარიელი „მანჩესტერთან“ დაშავდა და, შესაძლოა, თვეზე მეტი გაუცდეს. სავარაუდოდ, ის თავის ნაკრებს თბილისშიც ვერ ჩამოჰყვება, რადგან მალე საოპერაციო მაგიდაზე დააწვენენ. ანშოს გარდა ჟერარ ულიეს ასევე ტრავმირებული ემილ ჰესკი არ ეყოლება.

სამაგიეროდ, ფრანგი სპეციალისტი მაიკლ ოუენზე საუბარში ათენ-ალამებს: „ოუენი დროს უსწრებს. ის ჯერ 23 წლისაა და ასე მგონია, რომ უკვე ბრძენია. საერთოდ ფეხბურთელი პიკს 27-28 წლის ასაკში აღწევს, თუმც ოუენი გამონაკლისია. მაიკლი როცა ჯანზეა, მისი შეჩერება ურთულესი საქმეა. ნებისმიერ დროს შეუძლია გოლის გატანა, თან როგორც გნებავთ — თავით, ფეხით, ახლოდან, შორიდან. ვფიქრობ, რომ სეზონის ბოლო ოუენისთვის განსაკუთრებული იქნება, მერე კი უფრო მოუმატებს. კარგია, ჯერ გლაზგოში რომ ვთამაშობთ. პირველი მატჩი გაცილებით მნიშვნელოვანია და უნდა ვეცადოთ, რომ გავუტანოთ „სელტიკს“. საამო ფეხბურთს ვითამაშებთ, თან ჩვენ ორივენი ხომ „ბაზელის“ მსხვერპლნი ვართ.“

„ლივერპულმა“ მეოთხედფინალამდე ოთხი შეხვედრა გამართა და ოთხივეში გაიმარჯვა. „ვიტესსაც“ ორჯერ მოუგო და „ოსერსაც“, თან გოლი არ გაუშვია.

გლაზგო ჰენრიკ ლარსონის გამოჯანმრთელებით ხარობს. შვედს ყბა ჰქონდა მოღრეცილი. ახლა მოკეთებულა და ოდენ მარტინ ონილზეა დამოკიდებული, ითამაშებს თუ არა დღეს. „ჩემი ყბა გონზე მოვიდა — თქვა ლარსონმა — ახლა მხოლოდ მწვრთნელს შევყურებ. ეს მატჩი ყოველი ჩვენგანისთვის უმნიშვნელოვანესია, ამიტომ მისი გამოტოვება არავის სურს.“

მარტინ ონილმა იცის, რომ მას ნამდვილად ვერ დაეხმარება ფრანგი ნახევარმცველი დიდიე აგატი. მან გლაზგოურ დერბიში ფეხი იტკინა და ექვს კვირამდე დასვენება მოუწევს. მართალია, ფრანგი არ იქნება, მაგრამ სჯერა, რომ მისი თანაგუნდელები სტუმრებს ვაჟკაცურად დაუხვდებიან: „რეინჯერსის“ დამარცხებით გავილაღეთ. თუ „ლივერპულს“ ვძლიეთ, უკეთეს გუნებაზე დავდგებით და კვირას ლიგის თასის ფინალში „რეინჯერსს“ კვლავ გავუსწორდებით. უეფას თასის მეოთხედფინალში ყოველდღე ვერ ითამაშებ. დარწმუნებული ვარ, ნახევარფინალში ჩვენ გავალთ.“ „სელტიკმა“ მეოთხედფინალამდე რვა მატჩი გამართა. ექვსში იმარჯვა, ორი დათმო და მოედანი უგოლოდ ერთხელაც არ დაუტოვებია.

რომის „ლაციო“ ხმაურიანი დერბის შემდეგ „ბეშიქთაშს“ დაუხვდება. რობერტო მანჩინის გუნდმა კრაკოვში აჩვენა, რომ მატჩის ბედის სათავისოდ შებრუნება შეუძლია. „ლაციომ“ „რომასთანაც“ საკმაოდ კარგად ითამაშა, თუმც შეხვედრის მიწურულს ყურადღების გაფანტვა ორი ქულის დაკარგვად დაუჯდა. სიმონე ინძაგის გატეხილი ხელის ძვალი გაუმთელდა, მაგრამ დღეს მისი თამაში საეჭვოა. მანჩინი კვლავაც ენრიკო კიეზას იმედზეა. აქამდე გამართული რვა მატჩიდან რომაელებმა ოთხი მოიგეს, ერთი წააგეს და სამშიც მეტოქეებს დაუზავდნენ.

რაც შეეხება „ბეშიქთაშს“, თურქებს ასი წლის იუბილე აქვთ და ყველაფრის მოგებას გეგმავენ. „შავ არწივს“ ბრაზილიელი ძაგო არ ეყოლება. პრაღაში „სლავიასთან“ უმსგავსო საქციელისთვის უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდა. ბრაზილიელმა პრაღაში მასპინძელ კარელ პიტაკს ისეთი მუჯლუგუნი ჰკრა, რომ მოედნიდან გაძევეს. მართალია, მომენტი შემდეგ ფირზე ნახეს და ძაგოს საშინელი არაფერი ჩაუდენია, მაგრამ უეფას თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. ძაგო საერთოდ შემჩნეულია უხეშობაში და პროფილაქტიკისთვის არ აწყენსო. ორი წლის წინ, როცა ბრაზილიელი ჯერ კიდევ „რომაში“ თამაშობდა, მეტოქის შეფურთხებისთვის დასაჯეს.

„ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი მეპატრონე ილდირიმ დემირორენი: „კლუბის საიუბილეო თარიღს ზეიმობს. ჩვენი მიზანია, თურქეთის ჩემპიონობა და უეფას თასის მოგება. „ლაციო“ ძლიერი გუნდია, მაგრამ არც „ბეშიქთაშია“ ჯაბანი.“

მირჩა ლუჩესკუ „გალათასარაიში“ მუშაობისას ექვსჯერ გადაეყარა იტალიელებს. თუ გახსოვთ, „მილანს“ მილანში 2:2 ეთამაშა, შინ მოიგო, „რომას“ ორჯერ დაუზავდა, ხოლო „ლაციოს“ სტამბოლში სძლია, რომში კი წააგო. „ბეშიქთაშის“ განვლილი გზაც ვნახოთ. რვა მატჩიდან მხოლოდ ერთხელ, პრაღაში, „სლავიასთან“ დამარცხდა, ოთხი მოიგო, სამი კი ფრედ დასრულდა და მაჩვენებლები ზუსტად „ლაციოს“ მსგავსი აქვს.

აეკ-ის მძლეველი „მალაგა“ მეზობელი პორტუგალიიდან „ბოავიშტას“ უმასპინძლებს. მალაგელთა ბოლო მატჩის („ბილბაოს“ 3:0 მოუგეს) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხოაკინ პერეირო ლუკასის ბიჭები კარგად დაუმოძღვრავს. „მალაგა“ შინ არც ისე კარგად თამაშობს და „ბოავიშტას“ გარკვეული შანსი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში არასოდეს მოუგია. მასპინძლებს ორი კვირის წინ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ დაშავებული ხერარდო არ ეყოლებათ, მაგრამ დაუბრუნდებათ ურუგვაელი დარიო სილვა, რომელმაც აეკთან მატჩი გამოტოვა. სწორედ სილვა და დელი ვალდესი შეუტევენ პორტუგალიელთა კარს.

სტუმრებს ელპიდიუ სილვა და მცველი ფელიპე ანუნსაო დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ. ხოლო ვენესუელელი ლეგიონერი პედრო სანტოსი ტრავმირებულია. ასევე არ იქნება ბოლივიელი ერვინ სანჩესი.

„მალაგამ“ მეოთხედფინალამდე გამართული რვა მატჩიდან 5 მოიგო და 3 ფრედ ითამაშა. ამასთანვე, მესამე წრეში „ლიდსთან“, ისევე როგორც მერვედფინალში აეკ-თან, საშინაო შეხვედრები უგოლო ფრით დასრულდა. საინტერესოა, რომ სტუმრად გამართული სამი მატჩი („ამიცასთან“, „ლიდსთან“ და აეკ-თან) ესპანელებმა მოიგეს. რაც შეეხება „ბოავიშტამ“ კი რვიდან 5-ში იმარჯვა, სამში კი დამარცხდა და სამჯერვე სტუმრად. თელ ავივის „მაკაბისთან“ 0:1, პსჟ-სთან 1:2, „ჰერტასთან“ 2:3.

ბოლო წყვილს, „პორტუ“ — „პანათინაიკოსსაც“ მივადევქით. ვფიქრობთ, „პორტუს“ წარდგენა არ სჭირდება, ჩემპიონატში ბრწყინვალედ მოთამაშე ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქეა. პორტუელებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები მწყობრში ჰყავთ და გასულ უქმეებზე სათასო მატჩში, ალბათ „პანათინაიკოსის“ დასაშინებლად, „ვარზიმს“ 7:0 მოუგეს. აღვნიშნოთ, რომ „პანათინაიკოსსაც“ და „პორტუსაც“ მეოთხედფინალამდე ოთხიდან ოთხივე საშინაო მატჩი აქვთ მოგებული, სტუმრად კი უკეთესად ბერძნები თამაშობენ. მათ მხოლოდ ორიოდ კვირის წინ „ანდერლეხტთან“ წააგეს ბელგიაში, მანამდე კი „ლიბერეცს“ (2:2) და „ფენერბაჰჩეს“ (1:1) დაუზავდნენ, პირველ ეტაპზე კი ბულგარულ „ლოტექსს“ აჯობეს.

**გაგა ხუციშვილი**



„ლაციოს“ იმედი ენრიკო კიეზაა



დელი ვალდესი: „მალაგას“ დამრტყმელი ძალა




# ვერ დაგპირდებით, მაგრამ ვეცდებით

## მიკ მაკარტი სანდერლენდში ჩავიდა

**ახლა** ინგლისური გაზეთები დავობენ, არის თუ არა „სანდერლენდის“ გადაყენებული მენეჯერი ჰოვარდ უილკინსონი ყველაზე უარესი მენეჯერი პრემიერლიგის ისტორიაში. უილკის თამადობით გასავარდნად განწირულმა შავმა კატებმა 19 თამაშიდან მხოლოდ ორი მოიგეს.

არადა, უილკინსონი თითქოს გადამრჩენად დაინიშნა „სანდერლენდში“ პიტერ რიდის გადაყენების შემდეგ და კლუბის მენეჯერობისთვის ნაკრებთა კოორდინატორის თანამდებობა დათმო ფეხბურთის ასოციაციაში. უილკინსონი ამბობდა, რომ „სანდერლენდის“ გავარდნისა არ სჯეროდა, მაგრამ ის ერთადერთი კაცი იყო, ამ ნათქვამისა რომ სჯეროდა.

როცა პიტერ რიდის შემცვლელს დაეძებდნენ, სწორედ მაშინ გადადგა ირლანდიის ნაკრების მენეჯერობიდან ორი თამაშის წამგები და როი კინთან ჩხუბმოლეული მიკ მაკარტი, „სანდერლენდის“ ბოსებმაც მისკენ მიმართეს მზერა, მაგრამ მიკმა მაშინ იუარა.

გუშინ კი გამოცხადდა, რომ მაკარტი დანიშნულია „სანდერლენდის“ რიგით მესამე მენეჯერად ამ სეზონში.

მაკარტის არასოდეს უმუშავია პრემიერლიგაში, ხუთწლიანმა წარმატებულმა საქმიანობამ პატარა „მილუოლში“ ის ჯეკი ჩარლტონის ნაქონ სავარძლამდე მიიყვანა და ირლანდიის ნაკრებში ექვსი წლით დატოვა.

გუშინვე 44 წლის მაკარტიმ პრესკონფერენცია გამართა და თქვა, რომ „სანდერლენდის“ სათავეში ყოფნა სრული სიამოვნება და დიდი ჯილდოა და შესანიშნავი იქნებოდა პრემიერლიგაში დარჩენაო.

„უკვირთ, რატომ მოვედი აქ ასეთ დროს — განაცხადა ახალმა მენეჯერმა — მაგრამ ეს შეძლებული საფეხბურთო კლუბია და კარგადაც მუშაობს. ჩვენ შედეგი გვჭირდება. ამ სალამოდანვე მე და ასისტენტი იან ევანსი ვარჯიშებს მივხედავთ და ვეცდებით, შედეგი იყოს. გადარჩენას ვერ დაგპირდებით, მაგრამ ვეცდებით“.

მაკარტის პრემიერლიგის ცხრა მატჩი დარჩა გუნდის გადასარჩენად.

„სანდერლენდის“ და ირლანდიის ნაკრების ავტორიტეტმა ნეილ ქუინმა ტელეფონით გაამხნევა თავისი მეგობარი, ჟურნალისტებს კი უთხრა, რომ მიკი პირველი დღიდანვე პატივისცემას მოიხვეჭს. აქამდე ამბობდნენ, რომ მაკარტის თანაშემწე სწორედ ქუინი იქნებოდა, რომელმაც წლეულს დაანება ფეხბურთს თავი, თუმცა, ასე არ მოხდა და მეორე კაცად ნაკრებიდან მაკარტისთან ერთად წასული მისი მეგობარი ევანსი დასახელდა.

მაკარტი ინგლისში, ბარნსლიში დაბადებული ირლანდიელია და ფეხბურთელობისას უთამაშია „ბარნსლიშივე“, „მანჩესტერ სიტიში“, „სელტიკში“, „ლიონსა“ და „მილუოლში“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლომმა დაიწყო კნავილი და...

## დაითხოვეს პაკულტი

**სეზონის** დასაწყისიდან „მიუნხენ 1860“ მაინცდამაინც არ ბრწყინავდა, მაგრამ ლიდერებთან ახლოს კი ტრიალებდა. ზამთრის შესვენების შემდეგ ბუნდესლიგა განახლდა და მიუნხენელი „ლომების“ ღრიალი წრუწუნას წრიპინს დაემსგავსა. გუნდმა სვლას აშკარად უკლო. ზედიზედ რამდენიმე მატჩი ჩააგდო. კლუბის მესვეურები ავსტრიელ მწვრთნელ პეტერ პაკულტს თვალებში შესციცინებდნენ, აი, ახლა კი გამოასწორებს თამაშსო, მაგრამ ამაოდ. წინა ტურში მიუნხენელი „ლომების“ ფაფარი ბერლინში „ჰერტამ“ გაწეწა, ბავარიელები 6:0 დაამარცხა და პეტერ პაკულტის გადადგომის დროც დადგა „მიუნხენ 1860“-ის ბოსებმა ავსტრიელი დაითხოვეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უეფას თასზე „ბოავიშტასთან“, ლიგაში კი „ჰამბურგთან“ მარცხის მერე „ჰერტას“ ფეხბურთელები ჰუუბ სტივენსმა გვარიანად შეაჯანჯღარა. ჰოდა, ბერლინელების შეფუცხუნება სწორედ მიუნხენელებთან შეხვედრას დაემთხვა. „ჰერტამ“, ფაქტობრივად, მიუნხენელთა თავკაცი იმსხვერპლა.



პეტერ პაკულტი

ბავარიული კლუბი მთლად უთავოდ არ დარჩენილა. ჯერჯერობით გუნდს ფალკო გიოტცი გაწვრთნის. ეს კაცი შარშან „ჰერტადან“ იურგენ რიობერის წასვლის შემდეგ დროებით ბერლინელებს მეთაურობდა და მისი ხელდასმით გუნდმა მიჯრით რამდენიმე ტურში მეტოქეებს ბღლვირი ადინა.

შეგახსენებთ, რომ პეტერ პაკულტი მიუნხენში 2001 წლის ოქტომბერში ვერნერ ლორანტის „ფენერბაჰჩეში“ გადასვლის შემდეგ მივიდა. ავსტრიელი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში რიგით მეხუთე მწვრთნელია, პოსტიდან რომ დაითხოვეს. მანამდე მისი ბედი გაიზიარეს ანდრეას ბრემემ, კლაუს ტოპმიოლერმა, სულ ერთი კვირის წინ კი ჰანს მაიერმა და ვოლფგანგ ვოლფმა.

**გაგა ხუციშვილი**

# მე არ ვარ მამაშენი

## ლუის ფერნანდესი ვაჟკაცია: პარიზიდან მიდის

**„პარი სენ ჟერმენის“** მწვრთნელი ლუის ფერნანდესი სეზონის ბოლოს, ალბათ, გადადგება, რადგან აღიარებს, რომ გუნდის ცუდი შედეგები მისი ბრალია და გუნდში დარჩენის მორალური უფლება აღარ აქვს.

„მომავალი სეზონიდან „პარი სენ ჟერმენში“ აღარ ვიმუშავებ — ამბობს 80-იანი წლების ვარსკვლავი — მე მყოფნის ვაჟკაცობა საკუთარი ჩავარდნა რომ ვაღიარო“.



ლუის ფერნანდესი

საგულისხმოა, რომ ფერნანდესის ეს განცხადება პარიზელთათვის სეზონის ყველაზე დიდი გამარჯვების, „მარსელთან“ 3:0-ის შემდეგ გვესმის. „პარი სენ ჟერმენი“ საფრანგეთის ჩემპიონატის ცხრილში მეექვსე ადგილზეა, მაგრამ სეზონის დასრულებამდე რვა ტურით ადრე ლიდერს, „მონაკოს“, შვიდი ქულით ჩამორჩება.

ფერნანდესმა თქვა: „ცუდი შედეგები ჩემი ბრალია, ამიტომ, კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, სჯობს თანამდებობიდან გადავდგე. ვხვდები, რომ ბევრი შეცდომა დავუშვი, გონივრული გადაწყვეტილებების ალღო დავკარგე. ვაღიარებ, რომ კლუბის ცხოვრებაშიც ზედმეტად ჩავერიე“.

43 წლის ფერნანდესმა „პარი სენ ჟერმენის“ მწვრთნელის პოსტზე, 2000 წლის დეკემბერში ფილიპ ბერჟერო შეცვალა. მანამდე იგი ოთხი წლის მანძილზე ესპანურ, უფრო ზუსტად კი ესპანეთის ჩემპიონატში მოთამაშე ბასკურ ბილბაოს „ატლეტიკს“ ედგა სათავეში და, გულახდილად რომ ვთქვათ, ციდან ვარსკვლავები არც იქ მოუწყვეტია.

არადა, ფერნანდესის ხელმძღვანელობით 1996 წელს „პარი სენ ჟერმენმა“ თასების თასი მოიგო.

თუმცა ფერნანდესი ასეც ამბობს:

„მარტო ვერაფერს მივაღწევდი. ანელკას ჩვენთან დარჩენა არ უნდოდა. მან შეცდომა დაუშვა პარიზში რომ დაბრუნდა. ეს თავადაც კარგად იცოდა და სხვამაც. რონალდინიო წესებსა და დისციპლინას არას დაგიდევდათ, ის აუცილებლად უნდა დასჯილიყო და მინდოდა კიდეც დასჯა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა მითხრეს, თავი დაანებეო. ეს ძალიან შეურაცხმყოფელი გახლდათ. მე რონალდინიოს დახმარება მინდოდა, მაგრამ რასაც მთხოვდნენ, მეტისმეტი იყო. ფაქტობრივად, მის მამობას და ფსიქოთერაპევტობას მთხოვდნენ, მაშინ როდესაც ჩემი საქმე რონალდინიოს მოედანზე მოქმედება გახლდათ და ვფიქრობ, ამ ნაწილში ვერავინ მისაყვედურებს“.

**პაატა ძიძია**

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

#### I ჯგუფი. III ტური

**დეპორტივო კალი (კოლუმბია) 1:0 ლიბერტადი (პარაგვაი)**

1:0 ჯ. ერნანდესი (34)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო კალი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| რივერ პლეიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლიბერტადი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ემელეკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |

#### II ჯგუფი. III ტური

**პაისანდუ (ბრაზილია) 3:1 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)**

0:1 კ. ალვარესი (13), 1:1 რობსონი (43?), 2:1 ველბერი (49), 3:1 რობსონი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაისანდუ | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| სერო პორტენო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სპორტინგ კრისტალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

#### V ჯგუფი. III ტური

**პენიაროლი (ურუგვაი) 2:0 უნამი (მექსიკა)**

1:0 ისტოიანოფი (31), 2:0 მ. დე სოუზა (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| პენიაროლი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| ბოლივარი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| უნამი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |

#### VIII ჯგუფი. III ტური

**კორინთიანსი (ბრაზილია) 4:1 სთრონგესტი (ბოლივია)**

1:0 როჟერიუ (15), 1:1 ფ. ლედესმა (18), 2:1 ანდერსონ პოლგა (32), 3:1 ვაგნერი (59), 4:1 ლეიდსონი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ფენიქსი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:4 | 3 |
| სთრონგესტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| კრუზ ასული | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ჯილინგემი 3:3 უიმბლდონი**

0:1 კონოლი (4), 1:1 შოუ (59), 2:1 უოლესი (75), 2:2 რეო-კოკერი (79), 3:2 შოუ (80), 3:3 შიპერლი (87?)

**კრისტალ პალასი 1:1 იფსვიჩი**

1:0 ე. ჯონსონი (20), 1:1 მ. ბენტი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 35 | 21 | 10 | 4 | 73:34 | 73 |
| ლესტერი | 36 | 20 | 11 | 5 | 58:32 | 71 |
| რედინგი | 35 | 19 | 4 | 12 | 45:33 | 61 |
| ნოტინგემი | 35 | 16 | 11 | 8 | 62:36 | 59 |
| შეფილდი | 33 | 17 | 7 | 9 | 51:36 | 58 |
| ვულვზი | 35 | 15 | 11 | 9 | 61:37 | 56 |
| იფსვიჩი | 36 | 13 | 12 | 11 | 55:46 | 51 |
| ნორვიჩი | 34 | 13 | 10 | 11 | 44:34 | 49 |
| ჯილინგემი | 35 | 13 | 10 | 12 | 48:49 | 49 |
| როტერჰემი | 36 | 13 | 9 | 14 | 52:50 | 48 |
| ბარნსლი | 33 | 13 | 9 | 11 | 48:56 | 48 |
| კრ. პალასი | 35 | 11 | 14 | 10 | 46:40 | 47 |
| უიმბლდონი | 35 | 12 | 11 | 12 | 59:60 | 47 |
| პრესტონი | 35 | 12 | 11 | 12 | 53:54 | 47 |
| ქოვენთრი | 36 | 12 | 11 | 13 | 41:44 | 47 |
| მილუოლი | 36 | 13 | 8 | 15 | 42:55 | 47 |
| უოტფორდი | 36 | 13 | 8 | 15 | 39:53 | 47 |
| დერბი | 36 | 12 | 7 | 17 | 45:55 | 43 |
| ბრედფორდი | 35 | 11 | 9 | 15 | 42:55 | 42 |
| უოლსოლი | 35 | 11 | 7 | 17 | 46:52 | 40 |
| ბრაიტონი | 36 | 8 | 8 | 20 | 36:55 | 32 |
| სტოკი | 36 | 7 | 11 | 18 | 36:63 | 32 |
| უენსდი | 36 | 6 | 12 | 18 | 37:59 | 30 |
| გრიმსბი | 36 | 7 | 9 | 20 | 41:72 | 30 |

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

UAB "Billijardai" ექსკლუზიური წარმომადგენელი
Zeus company
Billijardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების




კონსულტაციები, გარანტია
ტრანსპორტირება, რემონტი, რესტავრაცია
ტ.95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, ქ. №2

# kicker

# უნერვო კობიაშვილი

## ფრაიბურგის მეათე მეგოლეებშიც მეათეა

*აქამდე გერმანულ ბუნდესლიგაში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა: ქართველი ფეხბურთელი მეორე ბუნდესლიგაში ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ეს პატივი „ფრაიბურგის“ მეათე ნომერ ლევან კობიაშვილს „კიკერისგან“ ერგო. ჩვენებურმა უშუალო კონკურენტ „მაინცთან“ პრინციპული, საშინაო შეხვედრის 86-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა*



**მერე რა,** რომ კობიმ ეს პენალტით შეძლო. მართალია, საზოგადოდ თერთმეტმეტრიანიდან ბურთის გატანა უფრო იოლია, ვიდრე პირდაპირ თამაშიდან, მაგრამ ამის თქმა „ფრაიბურგ“ — „მაინცის“ შეხვედრაზე, შესაძლოა, უადგილოც იყოს. ლევანს მაშინ არ უმტყუნა ნერვებმა, როცა ამის ყველაზე დიდი საშიშროება არსებობდა. მატჩის მიწურულს „დრაიზამშტადიონზე“ დაძაბულობამ კულმინაციას რომ უწია, სწორედ მაშინ დაინიშნა პენალტი სტუმართა კარში. დარტყმა კობიმ ითავა და... „ძალიან შთამბეჭდავი იყო, როგორ აიღო მან 86-ე წუთზე დიდი პასუხისმგებლობა“ — წერს „კიკერი“, რომელმაც ლევანი უნერვო ადამიანად მონათლა, ამ მატჩის მიმოხილვასაც სათაურად „უნერვო კობიაშვილი“ წაუმძღვარა. საქართველოს ნაკრების წევრი გერმანულ გამოცემას პასუხობს: „ყველა პენალტი ძნელად შესასრულებელია, თუმცა ეს განსაკუთრებით რთული იყო“. „კიკერი“ კი ამატებს — „ასევე ძალიან შთამბეჭდავი იყო, როგორ აიღო ინიციატივა კობიაშვილმა თამაშის განმავლობაში საკუთარ თავზე. სწორედ ამის ხარჯზე მოიპოვეს მასპინძლებმა უპირატესობა. საერთოდაც კობიაშვილის თამაში თავის გუნდზე დიდ გავლენას ახდენს. ისე, საინტერესოა, გადავა იგი „შალკეში“ და გააგრძელებს იმ შთამბეჭდავ სერიას, რომელიც კარდოზომ, ტოდტმა, პაინრიხმა და კელმა შექმნეს? ეს ოთხეული ეროვნული ნაკრების ფეხბურთელად სწორედ „ფრაიბურგში“ ჩამოყალიბდნენ, მერე კი სხვა გზას ეწივნენ“.

აღსანიშნავია, რომ კობიაშვილისთვის ეს გოლი მეცხრე იყო სეზონში, თუმცა ერთის გარდა ყველა პენალტით აქვს გატანილი. მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირთა შორის ლევანი მეათე ადგილზეა, რაც იმ ფეხბურთელისთვის, რომელიც ხან მცველის პოზიციაზეა გამწესებული, ხანაც ნახევარმცველისა, ნამდვილად კარგი მაჩვენებელია.

„კიკერმა“ ამ შეხვედრაში კობიაშვილის თამაში ორიანით შეაფასა. იგივე პატივი ერგო ალექსანდრე იაშვილსაც რომელიც კობისთან ერთად ყველაზე აქტიური იყო თავის გუნდში. ასეთი მაღალი შეფასება არც ერთ სხვა ფრაიბურგელს არ დაუმსახურებია. „მაინცთან“ გამარჯვებით ფოლკერ ფინკეს გუნდი მეორე ადგილამდე კი აღზევდა, მაგრამ ორშაბათს ფრანკფურტის „აინტრახტის“ „დუისბურგთან“ ზეობის გამო მესამეზე ჩამოქვეითდა. თუმცა ბადენვუტემბერგელთა თავკაც ფინკეს თუ ვერწმუნებით, მთავარი ბრძოლა ჯერ წინაა. შეუშლის თუ არა „ფრაიბურგს“ ხელს ბოლო დროს მოხშირებული ტრავმები, ჯერ უცნობია. „მაინცთან“ შეხვედრაში მარცხენა მუხლი დაიშავა ტობიას ვილიმ, რომელიც, როგორც ამბობენ, დიდი ხნით გამოაკლდა გუნდს. ამ ტრავმამ გვარიანი თავსატეხი გაუჩინა ფინკეს, რადგან ვილის პოზიციაზე მოთამაშე საშა რიტერიც ტრავმირებულია და მწვრთნელსაც მარჯვენა ფლანგზე სხვა პოზიციის მოთამაშის გამწესება მოუწევს. კანდიდატურა ხუთია, რომელთაგან კონდე და შუმანი აშკარად დაცვაზე ორიენტირებული ფეხბურთელები არიან. რამდანესა და მენერს შეტევა კი ეხერხებათ, მაგრამ დაცვაში მოიკოჭლებენ. ვილი და რიტერი კი ის ფეხბურთელები იყვნენ, რომელთაც მთელი ფრთის კონტროლი ევალებოდათ და ამ დავალებას კარგადაც ასრულებდნენ. რჩება ერთი გამოსავალი — ლევან ცქიტიშვილი, რომელიც მარცხენაფლანგელი კია, მაგრამ მარჯვენა ფრთაზე თამაშის გამოცდილება პირველ ბუნდესლიგაში დაუგროვებია, თუმცა „კიკერი“ ლევანს სპრინტერულ მონაცემებს უწუნებს. ცხადია, მთავარი არა „კიკერის“, არამედ ფოლკერ ფინკეს შეხედულებაა. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფრაიბურგელთა თავკაცი, ამას ორშაბათს ვნახავთ, როცა „ფრაიბურგი“ „მანჰაიმს“ ეწვევა. გერმანიის საფეხბურთო ლიგამ ეს მატჩი ცენტრალურად მიიჩნია და ამიტომაც ორშაბათს დანიშნა. ამ შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი მთელს გერმანიაში DSF-ის არხით გადაიცემა.

**ვანო ოქროპირიძე** *ბერლინიდან*

# ლოგოპედი ლოგოსთვის

## საოლქო სასამართლომ ნახევარი მილიონი 30 ათასზე ჩამოიყვანა

## ფედერაცია: ბურჯანაძე ფულს ვერ მიიღებს

**დავა შარშან დაიწყო.** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ადრინდელი ლოგოს ავტორმა ემირ ბურჯანაძემ სფფ-ს პრეტენზიები წაუყენა — 1995 წელს შექმნილ ემბლემას რამდენიმე დეტალი ჩემს დაუკითხავად შეუცვალეთ და სამისოდ ფულადი კომპენსაცია მერგებაო. მაშინ მხატვრის სარჩელი რაიონულმა სასამართლომ განიხილა და ფედერაცია ამ საქმიდან მშრალი გამოვიდა.

გუშინ კი საქმე საოლქო სასამართლომ განიხილა. ბურჯანაძე 300 ათას ამერიკულ დოლარს მოითხოვდა მისი აზრით ლოგოს უკანონოდ გამოყენების გამო და 200 ათას დოლარს მორალური ზარალის ასანაზღაურებლად.

ფედერაციას ამ დროისთვის სულ სხვა, ახალი ემბლემა აქვს. გუშინდელ პროცესს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი და ახლანდელი იურისტები ესწრებოდნენ და ისინი ერთ მხარეს წარმოადგენდნენ — ლევან გორხელაშვილი და ევგენი მეტრეველი.



ვალერი ჩოლარია და მერაბ ჟორდანია უზენაეს სასამართლოს მიაკითხავენ

ბურჯანაძემ ის მოჰყვა, თუ როგორ მივიდა მასთან სფფ-ის ყოფილი პრეზიდენტი, აწ გარდაცვლილი ნოდარ ახალკაცი თხოვნით, შეექმნა ფედერაციის ემბლემა. მხატვარმა იმაზეც ისაუბრა, თუ რა მნიშვნელობისაა ნამუშევრის თითოეული დეტალი და რომ ამ ემბლემის შექმნას თვენახევარი მოანდომა, ხოლო მისი ნაწარმოები ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ გააუკუღმართა.

ამის შემდეგ საქმეში იურისტები ჩაერთვნენ. სასამართლომ ორჯერ გამოაცხადა შესვენება და 11 საათზე დაწყებული პროცესის ვერდიქტი საღამოსთვის გამოიტანა — ფეხბურთის ფედერაციამ ემირ ბურჯანაძეს 30 ათასი ლარი უნდა გადაუხადოს მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, ფედერაციას კი უფლება აქვს, ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივროს.

სფფ სასამართლო განჩინების ფურცელს ორ კვირაში მიიღებს და როგორც შევიტყვეთ, აუცილებლად გაასაჩივრებს მას.

**დავით თავართქილაძე**

# მაგნიტური დღე ლანჩხუთში

## კვარაცხელია გადარჩა, ჩუბინმა გურულმა კი შევარდნაძე აჭარალა

**აფსუს,** ხუტა უფროსს პატიოსანი ჯოტიას ნაცვლად ჯერჯერობით ჩვენთვის (თქვენთვისაც) უცნობი გურული რომ ჰყოლოდა, რაიონული მასშტაბით არ შერცხვებოდა. იმ გურულს არც შეგინება უნდოდა ძალების მოსაკრებად და ჯონსონის თუ ტომპსონის რეკორდი — 7 კილო 22 მეტრზე — დიდი ხნის წინ დაემხობოდა.

5 მარტს „ევგრაფი შევარდნაძეზე“ ადგილობრივი „გურია“ სათასო მერვედფინალში კახურ „მილანს“ მასპინძლობდა. იმ დღეს გურულები იშტაზე იყვნენ, სტუმარს ბევრს უტევდნენ და საკუთარ საჯარიმოსაც არ აკარებდნენ. „გურიამ“ გოლიც გაუტანა „მილანს“ და თამაშიც ლოგიკური დასასრულისკენ მიჰყავდა.

ამ დროს, სრულიად უადგილოდ, ტრიბუნაზე ის უცნობი გურული შეიმართა, მარჯვენა მოიქნია და საკმაოდ წონიანი მაგნიტი მსაჯისკენ ტყორცნა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მრგვალი ფორმის ლითონს სამოციოდე მეტრი უფრენია და სერგო კვარაცხელიას ზურგზე მოუდენია ტყაპანი.



სერგო კვარაცხელია

კვარაცხელიას საქმე ნამდვილად „სამალარიჩოდ“ გახდომია. წარმოიდგინეთ, იმ გურულს, მსაჯისკენ მაგნიტი ფირალის სიზუსტით რომ ტყორცნა, ხელში ბირთვი სჭეროდა და ის მიეწებებინა კვარაცხელიას ზურგისთვის.

მატჩი ორიოდ წუთით შემწყდარა, მერე გადარჩენილი კვარაცხელიაც მოფერიანებულა და „გურიამ“ „მილანს“ 1:0 მოუგო.

გუშინ უთავკაცოდ შეკრებილ დისციპლინარებს ჯერ გაეღიმათ, მერე იმაზე დაფიქრდნენ, ამდენ ქვა-რკინა-ლორლის სროლას რა მოვუხერხოთო, მაგრამ არავინ იცოდა დამნაშავის ვინაობა და ისევ „ევგრაფი შევარდნაძეს“ მიადგნენ. სტადიონს გაფრთხილება და 100 ლარი დააკისრეს, ხოლო „გურიას“ უსაფრთხოების ოფიცერს საყვედური შეუთვალეს, მეტი სიფრთხილე გამოიჩინეო.

ეს იყო ყველაზე მსხვილმანი საკითხი, რაც გუშინ წლეულს **პირველად** შეკრებილი სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე გაირჩა. დანარჩენი კი მწვრთნელ-ფეხბურთელთა მცირე დარღვევებს შეეხებოდა.

12 დეკემბერს „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთის“ პირველი ეტაპის ბოლო ტურის **მატჩში** ფოთელთა ერთ-ერთ მწვრთნელს მამუკა მიქავას გაუთავებელი **პრეტენზიებით** თვით სამსაჯოს თავკაცი ანატოლი **მილჩენკო** შეუწუხებია, რისთვისაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 50-ლარიანი ჯარიმა ერგო.

„დინამო 2“-ის მოთამაშეებმა, მუმლაძემ და იაშვილმა, შესაბამისად ერთი და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციები მიიღეს და ჯამში 200 ლარსაც შეელევიან.

| 23.45 | 2010 | მალაგა-ბოავიშტა | 1,95 | 2,2 | 6,0 | 1,03 | 1,47 | 1,6 |
| 00.05 | 2011 | სელტიკი-ლივერპული | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 01.00 | 2012 | პორტუ-პანათინაიკოსი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

**13 მარტი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.45 | 2701 | ლაციო-ბეშიქთაში | 1,35 | 2,6 |
| 23.45 | 2702 | მალაგა-ბოავიშტა | 1,4 | 2,4 |
| 00.05 | 2703 | სელტიკი-ლივერპული | 2,4 | 1,4 |
| 01.00 | 2704 | პორტუ-პანათინაიკოსი | 1,5 | 2,0 |

# მაიამი სტეფანიას ცუდად ეთამაშება

## აქ ბევრია ფული, კაცობაა ცოტა

*— გამარჯობათ, ვოვა, საქართველოდან გირეკავთ, „სარბიელიდან“, რამდენიმე კითხვით შეგაწუხებთ.*

*— დიახ, გისმენთ... დავიწყოთ.*

*ვლადიმერ სტეფანიას ათასი რამ შეიძლება ჰკითხო. საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი რამდენი წელია, საქართველოს მოსწყდა და ბედის საძებრად, რომელსაც მშობლიურ მიწაზე ვერასდროს მიაგნებდა, ჯერ ცხრა მთისა და შემდეგ ცხრა ზღვის იქით გადაიხვეწა. თავისთავად ჩნდება უდიდესი ცდუნება, ჰკითხო მას მაიკლ ჯორდანზე, შაკილ ონილზე, პატ რაილიზე, დევიდ შტერნზე... ნბა-ზე, ამ ჩაკეტილ და ყველაფრისგან მოწყვეტილ, მაგრამ მაინც უკიდეგანო სამყაროზე ხომ ათასი რამის თქმა შეიძლება. სტეფანია უკვე მეხუთე წელია, იქაა, ბევრს ვარჯიშობს, ცოტას თამაშობს, ხანდახან მსაჯს ეკამათება, ზოგჯერ პატ რაილის მეტი ხნით თამაშს სთხოვს. თამაშობს დღეს მაიკლ ჯორდანის და ხვალ კარლ მელოუნის წინააღმდეგ. ის ნბა-შია და ნიადაგ ჯაფობს კარიერის „საშენებლად“. ჩვენც ვძლიეთ ცდუნებას და ვოვა სტეფანიას პირველ რიგში შარიფ აბდურ-რაჰიმის კი არა, ვოვა სტეფანიას, ნბა-ში მოხვედრილი პირველი ქართველის შესახებ ვკითხეთ*



**— ვოვა, უკვე მეორე სეზონია, „მაიამიში“ თამაშობთ. პატ რაილი გენდობათ და რეგულარულად გათამაშებთ. თავს როგორ გრძნობთ მის გუნდში?**

— რა გითხრათ, ნორმალურად. არც ძალიან ბედნიერი ვარ და არც გაჭირვებული. ბოლო სეზონი ადრინდელებზე წარმატებულია, თუმცა ეს არაა ჩემი ზღვარი. პირველი სამი წელი ტრავმა მაწუხებდა და მთელი დატვირთვით ვერ ვთამაშობდი. ახლა მწყობრში ვარ, ვთამაშობ და მეტად ვჩანვარ. მეორეს მხრივ, ვთვლი, რომ მეტი ხნით თამაშს ვიმსახურებ.

**— ძირითად ცენტრ ალონზო მურნინგის ავადმყოფობის შემდეგ „მაიამის“ სასტარტო ხუთეულში ადგილი განთავისუფლდა. მის შემცვლელად ამერიკული პრესა თქვენ მოგიაზრებდათ, პატ რაილიმ კი სათადარიგოებში დაგტოვათ.**

— მან ასე გადაწყვიტა. რაილის ურჩევნია, პირველ ხუთეულში უფრო დაბალი და მოძრავი მოთამაშეები ჰყავდეს, გუნდს ორი თავდამსხმელით ათამაშებს. არადა, რაილი მანამდე ყოველთვის ეყრდნობოდა დიდ ცენტრს. დღეს უკვე ნათელია, რომ ორმა თავდამსხმელმა ვერ გაამართლა. ბრაიან გრანტი ძლიერია, მაგრამ ცენტრობისთვის დაბალი. ვფიქრობ, შემიძლია ხუთეულში მეტი ხნით თამაში, მაგრამ ეს სეზონი ჩაგვივარდა და მწვრთნელი ჯერჯერობით არაფრის შეცვლას არ აპირებს. მეც არ მაძლევს თავის მეტად წარმოჩენის საშუალებას.

**— რატომ?**

— მე აშკარად შემიძლია უკეთ თამაში. ამისთვის მეტი თავისუფლება და წუთები მჭირდება. რაილი მეუბნება, შეუსვენებლად თამაშისთვის ჯერ მზად არა ხარო, მაგრამ ამას სხვა მიზეზი აქვს. ჯერჯერობით კლუბს ხელს არ აძლევს ჩემი კარგი თამაში. მე ყველაზე მცირეხელფასიანთა ფენაში ვარ. ფაქტია, შემიძლია მომატება. ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად ბევრ მოხსნებს ვაგროვებ, გუნდში მეორე ვარ, მაგრამ მე სხვებზე ნაკლებს ვთამაშობ. არადა, წუთების და მოხსნების ამ პროპორციებით სტაბილურად დიდი ხნით თამაშის შემთხვევაში ლიგაში მეორე-მესამე ვიქნებოდი. შეტევაში საერთოდ შეზღუდული ვარ, მეტოქის ფართან ინიციატივის გამოჩენის საშუალება არ მეძლევა — ვთქვათ, ცენტრის პოზიციაზე მივიღო ბურთი და მეურვის მოტყუება ვცადო. რაილი მხოლოდ შავი სამუშაოს შესრულებას მავალებს, ისიც ხომ გეუბნებით, მცირე ხნით. მქონდა რამდენიმე კარგი თამაში, ზედიზედ ვაკეთებდი 15-15 ქულა-მოხსნებს რამდენიმე მატჩში, მაგრამ რაილიმ მაინც არ მიმიშვა ბოლომდე. თუკი 20 წუთში 15 ქულას ვაგდებ, მათამაშე რა 30 წუთი! არა, მაინც დამსვა სკამზე. კი შემაქო, მაგრამ მაინც დამსვა. და ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ უფრო სარგებლიან მოთამაშედ არ ვიქცე და შესაბამისი ხელფასიც არ მოვითხოვო. „მაიამის“ ჩემი დატოვება სურს და გუნდის ინტერესებშია, რომ მე აქ დიდი ხნით და მცირე ფულად დავრჩე. აქ მთელი ფინანსური ქსელი არსებობს, სადაც ზოგიერთი მოთამაშე შეიძლება უსამართლოდ დაიჩაგროს. კი, ამერიკელებს ფულის კეთება შეუძლიათ, ფული კარგია, მაგრამ მათ კაცობა და ადამიანობა აკლიათ.

**— თუკი „მაიამი“ თქვენთვის ზღუდედ იქცა, შეგიძლიათ, სხვა გუნდში გადახვიდეთ. „მილუოკის“ მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა გამოთქვა თქვენი აყვანის სურვილი... სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდებით და უკვე გადაწყვიტეთ, დარჩეთ თუ არა „მაიამიში“?**

— ჯერ ნაადრევია ამაზე ფიქრი. სეზონი ჯერ არ დასრულებულა და არავინ იცის, მერე რა როგორ აეწყობა. არ ვიცი, თუკი „მაიამიმ“ კარგი პირობები შემომთავაზა, იქნებ დავრჩე კიდეც. ერთი ცხადია, მომავალი სეზონისთვის მეტი ველირები, ვიდრე ახლა.

**— ამას წინათ „იუტასთან“ შეხვედრაში საკმაოდ დიდი ხნით ითამაშეთ...**

— ხომ გეუბნები, ეს დროებითია. მწვრთნელებმა იციან ჩემი შესაძლებლობები, მაგრამ არ მაძლევენ ბოლომდე გამოვლენის საშუალებას. ძალიან კარგადაც რომ ვითამაშო, გუნდის სასარგებლოდ მაინც ვერაფერს შევცვლი, სამაგიეროდ, ჩემი ფასი აიწევს, რაც კლუბს ხელს არ აძლევს.

ისე, „იუტასთან“ მაგრად წავაგეთ. რა ვთქვა, ჩვენზე ძლიერი და შეთამაშებული გუნდია. დაცვაშიც ძალიან ხისტად თამაშობენ, ჩვენ ასეთ თამაშს ბინძურს ვეძახით. არ ერიდებიან ჩარტყმას და მუჯლუგუნს, როცა მსაჯი არ უყურებთ.

**— ამ მატჩში პატ რაილიმ ორი ტექნიკური მიიღო და თამაში დატოვა. მას ხშირად მოსდის უთანხმოებები არბიტრებთან. რატომ?**

— ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი გუნდი სუსტია, მსაჯები კი ძლიერებს ემხრობიან. ამას წინათ ნიუ იორკში ვთამაშობდით და მსაჯებმა აშკარად დაგვწვეს. ბოლო წამებზე ვიგებდით, ბურთი მოედანს გარეთ გავიდა. ყველამ კარგად დაინახა, რომ ბურთი ნიუიორკელმა კურტ ტომასმა გადააგდო, მაგრამ მსაჯებმა იგი ისევ „ნიუ იორკს“ დაუბრუნეს. რაილი ამაზე ლამის გაგიჟდა, მაშინაც გააგდეს და 50 ათასითაც დააჯარიმეს. წავაგეთ ის თამაში.

**— ვოვა, პირველი ქართველი ხართ, ვინც ნბა-ში მოხვდა. ახლა „დენვერში“ თამაშობს ახალგაზრდა ნიკა ცქიტიშვილი, რომლის ნბა-ში გადასვლას დიდი ხმაური ახლდა. თქვენ ამ შაბათს მეორედ შეხვდით მას მოედანზე. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მასზე?**

— კი, ნიკა ძალიან ნიჭიერ ბიჭად ითვლება. თუმცა აქ ხომ ყველაფერი პირობითია. მაგალითად, დრაფტში ცქიტიშვილი მეხუთე იყო, ჩემი თანაგუნდელი კერონ ბატლერი კი მხოლოდ მეათე. არადა, ბატლერი ყველაზე ძლიერი ახალბედაა. საერთოდ, აქ ბევრი რამ ავტორიტეტების სიტყვაზეა დამოკიდებული. ვიღაცა იტყვის, რომ ეს ბიჭი წარმოუდგენლად მაგარიაო და ყველა აჰყვება. სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ როდესაც ცქიტიშვილზე თქვეს, პერსპექტიულიაო, ჩემს გუნდში ხელმძღვანელებს ვუთხარი, ცქიტიშვილზე არანაკლებ ნიჭიერია მეორე ქართველი ზაზა ფაჩულია, რომელიც თურქეთში თამაშობს-მეთქი. მაშინვე მომიბრუნდნენ, შენ რა იციო. შემდეგ სხვისგანაც რომ გაიგონეს იგივე, ჩავიდნენ თურქეთში და ნახეს ფაჩულია, შემდეგ კი მითხრეს, მართალი ყოფილხარო.

ცქიტიშვილი შესანიშნავი ბიჭია, პერსპექტიული და თავის კლუბში განვითარების ყველანაირი პირობა აქვს, მაგრამ, დამიჯერეთ, არანაკლებ ნიჭიერია ფაჩულია. წარმოგიდგენია, ბიჭი 15 წლისა წავიდა თურქეთში და იქ თავისით გაიტანა თავი. ჩემი გუნდი თითქოს დაინტერესდა მისით და მეც თუკი ვინმე მეკითხება, ვცდილობ, ყველაფრით კარგად დავუხასიათო ზაზა.

**— ფაჩულიას რაილისთან რეკომენდაციას უწევთ?**

— აბა, რა! მე მხოლოდ მოხარული ვიქნები, თუ ქართველები ნბა-ში ითამაშებენ. ბოლოს და ბოლოს, ხმის გამცემი მეყოლება. ისე, ზაზას ჩემი ქება არც სჭირდება. ის ძლიერი კალათბურთელია და, ჩემი აზრით, სულ მცირე, პირველ ოცეულში მოხვედრას იმსახურებს დრაფტში.

**— ნბა-ში მოხვედრის შანსი ვოვა ბოისასაც აქვს. ის ახლა ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ლიდერია, სადაც 5-6 წლის წინ თქვენ თამაშობდით.**

— ბოისა უკვე ძლიერი მოთამაშეა და ძალიან კარგი ბიჭია. საერთოდ, ახლა კარგი თაობა მოდის, პიროვნულადაც რიგიანი ბიჭები არიან და ნიჭიერებიც. მე მხოლოდ მოხარული ვიქნები, თუკი ვინმე ნბა-ში გადავა. ნბა-ში 4-5 მოთამაშე უკვე სახელია... მგონი, „ბენეტონშიც“ თამაშობს კიდევ ერთი ქართველი, არა? ნბა-ში მეტად დაინტერესდებიან საქართველოთი, ჩავლენ, ნახავენ და სხვებსაც გაუჩნდებათ რალაცის მიღწევის შანსი, ჩემ დროს ყველაფერი სხვაგვარად იყო, არ გვქონდა გასაქანი და დაიკარგა ჩვენი თაობა. ხომ იცი, რა დრო იყო, თამაშის გარდა სხვა რამეც უნდა გეკეთებინა... იცი, „ძველი ბიჭი“ ყველა ქვეყანაში უნდა არსებობდეს და არსებობს კიდეც, მაგრამ „ძველბიჭობა“ არ უნდა იქცეს ყველას თვითმიზნად.

**— ვოვა, თქვენ ოთხი წელია, საქართველოში არ ჩამოსულხართ, სეზონის მიმდინარეობისას ნბა არავის უშვებს, მაგრამ ზაფხულობით თუ მიდიხართ სადმე?**

— სლოვენიაში ჩავდივარ ყოველ ზაფხულს. კარგა ხანია, ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ. „ოლიმპიაში“ რომ ვთამაშობდი, სხვაგვარად ვერ მოვახერხებდი იქ დამკვიდრებას.

**— საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მალე ნაკრებს ახალ, უცხოელ მწვრთნელს დაუნიშნავს და ეროვნული გუნდიც შეიკრიბება. თქვენ აუცილებლად მიგიწვევენ ნაკრებში. სლოვენიის მოქალაქეობა ხომ არ შეგიშლით ხელს, საქართველოს სახელით ითამაშოთ? და საერთოდ, მოახერხებთ თუ არა ჩამოსვლას?**

— იცი, ახლა გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. ჯერ არავინ შემხმიანებია. თუ დამიძახეს, ჩამოვალ, რა პრობლემაა.

**— უკვე საკმაო ხანია, ამერიკაში ხართ, როგორ შეეგუეთ მანდაური ცხოვრების წესს, თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— თავისუფალი დრო მაინცდამაინც არც მაქვს, მით უმეტეს, როცა სეზონია გახურებული. მაიამიში რომ ჩამოვედი, დავდიოდი ხოლმე აქეთ-იქით... ახლა ნაკლებად. მაიამიმდე სამი წელი გართობისთვის არც მეცალა. ათასი პრობლემა იყო, ტრავმა, შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება... ეს შრომის და წვალების წლები იყო.

**— „მაიამიში“ ყველაზე უფრო ვისთან მეგობრობთ?**

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, გამორჩეულად არავისთან. უფრო აქაურ ქართველებთან და რუსებთან ვახლობლობ. სიეტლშიც ქართველებთან მქონდა ახლო ურთიერთობა, იქ ათიოდ ქართული ოჯახი ცხოვრობს, მათთან მქონდა მისვლა-მოსვლა. რა ვიცი...

**— ხომ არ დაოჯახებულხართ?**

— არა, არა. ისე, არაერთ გოგონასთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ არასდროს მომსვლია აზრად, რომ რომელიმე ჩემი ცოლი იქნება. აქ ოჯახი ცოტა სხვა მცნებაა. კაცი ოჯახის უფროსად კი არ ითვლება, არამედ ქალის პარტნიორად. ქალი არ დაჯდება სახლში კაცის შემყურე. ოჯახები, რა თქმა უნდა, იქმნება, მაგრამ ქალი და კაცი სამუდამოდ არ უკავშირდებიან ერთმანეთს. პატარა განხეთქილება და ერთმანეთს ეყრებიან. და მერეც, სპორტსმენებისთვის ცოტა სახიფათოცაა დაოჯახება. აქ ბევრი ანგარების გამო ქორწინდება ცნობილ ადამიანზე, რათა შემდეგ გაეყაროს და ქონების ნაწილი წაართვას.

**— ჰო, თვით ჯორდანსაც კი ჰქონდა უთანხმოებები, ერთი წლის წინ მზრუნველმა ცოლმა გაყრა და ქონების წართმევაც დაუპირა...**

— ჯორდანი შეიძლება არაა იდეალური ადამიანი, მაგრამ არ მინდა, მასსზე ცუდი ვთქვა.

გაყრა აქ ჩვეულებრივი ამბავია. არც ქორწილი აქვთ აქაურებს ჩვენებურად ხმაურიანი. ერთ ამბავს მოგიყვები, თუ დრო გაქვს...

**— კი, რა თქმა უნდა...**

— ამას წინათ მამაჩემს ველაპარაკე. სიტყვამ მოიტანა და ვკითხე, ამ ოთხ წელში რამდენ ქორწილში იყავი-მეთქი. მითხრა, ხომ იცი, ახლა ხალხს აქ როგორ უჭირს, საშუალება არ არის, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 14 ქორწილში ვიყავიო... კარგად ვიცინე, რაც ამერიკაში ვარ, ერთხელ თუ ვიყავი ქორწილში. ასეა, აქ სულ სხვა სამყაროში ვარ.

**ირაკლი ფირაშვილი**




ვოვა სტეფანიას ჩამოსვლას მარტო მამამისი, ზაურ სტეფანია როდი ელის

ვლადიმერ სტეფანიას მონაცემი სეზონების მიხედვით

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1998-99 | სიეტლი | 23 | 6 | 13,6 | 3,3 | 5,5 |
| 1999-00 | სიეტლი | 30 | 1 | 6,7 | 1,6 | 2,5 |
| 2000-01 | ნიუ ჯერსი | 29 | 0 | 9,7 | 3,8 | 2,8 |
| 2001-02 | მაიამი | 67 | 4 | 13,2 | 4,0 | 4,3 |
| 2002-03 | მაიამი | 62 | 1 | 19,9 | 7,0 | 5,2 |
| სულ | | 211 | 12 | 13,8 | 4,4 | 4,2 |

*მესამე სვეტი: მატჩები; მეოთხე: მატჩები სასტარტოში; მეხუთე: წუთები საშუალოდ; მეექვსე: მოხსნები; მეშვიდე: ქულები*

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# რა ჰქნეს ჩვენებმა? ვაა! 11 და 13



AP ფოტოქრონიკა

ნიკა ცქიტიშვილი მრისხანე ტორონტოელს, ვინს კარტერს გაურბის

ცქიტიშვილისგან განსხვავებით, სტეფანიას არა და არ აღირსეს სასტარტო ხუთეული. არადა, ვოვა ხშირად ამტკიცებს, რომ თავის გუნდში არავისზე ნაკლები არაა. ამჯერად პატ რაილიმ ის საკმაო ხნით დატოვა მოედანზე და სტეფანიამაც ორმაგი დუბლი შეასრულა. რაილიმ ყოველ თამაშში 30-35 წუთით რომ ათამაშოს, ვოვა ბომბარდირთა არა, მაგრამ მომხსნელთა ათეულში უცილობლად შევა.

რაც შეეხება „კლივლენდთან" თამაშს, გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამზე გაირკვა. მაიამელმა მაიკ ჯეიმსმა მატჩის დამთავრებამდე 25 წამით ადრე ორივე საჯარიმოააცილა, რის გამოც ბიჭი ლამის დეპრესიაში ჩავარდა. მისდა ბედად, კლივლენდელმა რიკი დეივისმა მას მეორე შანსი მისცა, სირენამდე 0,2 წამით ადრე დაჯარიმდა. ჯეიმსმა ამჯერად ორივე ჩააგდო და „მაიამის" 77:75 გამარჯვება მოუტანა.

იმ დღეს კიდევ ბევრი საინტერესო რამ მოხდა ნბა-ში, რომელთაგან გამოსარჩევია ფილ ჯექსონის „ლეიკერსის" მარცხი ამ მწვრთნელის ძველ გუნდ „ჩიკაგო ბულზთან". 90-იანი წლების მრისხანე ჩემპიონი „ჩიკაგო" ახლა კანტკუნტი გამარჯვებებითღა იკმაყოფილებს შიმშილს. ეს სასახელო ზეობაც მხოლოდ და მხოლოდ ამ იშვიათ წარმატებულ ნადირობად ჩაითვლება, ვიდრე ამ ჩაჩანაკი გუნდის მომავალი აღმასვლის უტყუარ ნიშნად. რაც შეეხებათ დამარცხებულებს, წაგების პასუხისმგებლობა შაკილ ონილს დააწვება ვეება მხრებზე, რაკი მან მხოლოდ 13 ქულა ჩაუგდო „ჩიკაგოს", მისმა მომცრო თანაგუნდელმა კობი ბრაიანტმა კი — 36.

„ჩიკაგო ბულზთან" ერთად იმარჯვა მაიკლ ჯორდანის ახალმა გუნდმა ვაშინგტონ ვიზარდსმაც". „ვაშინგტონი" ერთ-ერთ საპლეიოფო კონკურენტს, „ორლანდოს" ხვდებოდა. ორლანდოელმა სუპერბიჭუნამ ტრეისი მაკგრეიდიმ პირდაპირ გაიგიჟა თავი, რაკი ეს მისი ალბათ ბოლო დაპირისპირება იყო ჯორდანთან. 23 წლის ორლანდოელმა 43 ქულა ჩააგდო, 20-ზე მეტი, ვიდრე 40 წლის ჯორდანმა, მაგრამ ის მაინც დამარცხდა, რაკი გვერდში მდგომებმა ვერ ივარგეს. ჯორდანის გუნდში კი ხუთივე ხუთეულელმა გაიღო 10 და მეტი ქულა.

— 11 მარტი —

**კლივლენდი 75:77 მაიამი**

**კლივლენდი:** პალასიო (2), დეივისი (19), მაილზი (13), ბუზერი (15), ილგაუსკასი (12); პარკერი (8), მიმი (4), დიომი (2), ჯონსი, სტიუარტი, ბრაუნი

**მაიამი:** ბესტი (16), რ. ბატლერი (10), კ. ბატლერი (13), ალენი (4), გრანტი (7); სტეფანია (35 წუთი, 13 ქულა, 11 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ჯეიმსი (10), ლემპლი (4)

**დენვერი 95:87 ტორონტო**

**დენვერი:** ჰარინგტონი (6), ბოუენი (5), ცქიტიშვილი (29 წუთი, 11 ქულა, 6 პასი, 3 მოხსნა, 1 დაფარება), ჰოვარდი (24 ქულა, 11 მოხსნა), ილარიო (9 ქულა, 10 მოხსნა); ანდერსენი (12), ვაიტი (10), უილიამსი (7), კემპი (5), სავოვიჩი (3), იარბრო (2), ჰარვი (1)

**ტორონტო:** ე. უილიამსი (4), კარტერი (21), პეტერსონი (9), დეივისი (12), მაკოი (12 ქულა, 11 მოხსნა); ლენარდი (9), ალსტონი (8), ბრედლი (5 ქულა, 12 მოხსნა), ჯეფერისი (5), ნდიეი (2)

**ჩიკაგო 116:99 ლეიკერსი**

**ჩიკაგო:** როუზი (27), კროუფორდი (24 ქულა, 10 მოხსნა), კარი (20)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (36), ფოქსი (23)

**ვაშინგტონი 106:105 ორლანდო**

**ვაშინგტონი:** სტეკჰაუზი (31), ჯორდანი (23), ჰიუზი (20)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (43)

**მილუოკი 102:105 სან ანტონიო**

**მილუოკი:** კასელი (26), დ. მეისონი (24), პეიტონი (20)

**სან ანტონიო:** როუზი (34), დანკანი (25 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი)

**ნიუ იორკი 85:87 მემფისი**

**ნიუ იორკი:** ჰარინგტონი (18 ქულა, 14 მოხსნა), ჰიუსტონი (17)

**მემფისი:** სვიფტი (20 ქულა, 14 მოხსნა), გასოლი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 113:98 ფინიქსი**

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (23 ქულა, 11 მოხსნა), არენასი (22)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (24), მარიონი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**ინდიანა 71:81 ნიუ ორლეანი**

**ინდიანა:** ჰარინგტონი (21)

**ნიუ ორლეანი:** დევისი (20), მაშბურნი (16)

**სიეტლი 77:92 პორტლენდი**

**სიეტლი:** ოლი (15 ქულა, 11 პასი)

**პორტლენდი:** ვოლესი (23)

11 მარტი ჭეშმარიტად ქართული დღე გამოდგა ნბა-ში. შესაძლოა, ამერიკის საკალათბურთო საზოგადოებამ ვერ შეამჩნია ორი მაღალი უცხოტომელის — სტაფანიასა და ცქიტიშვილის კარგი თამაში, სამაგიეროდ, ხალხი აუცილებლად შენიშნავდა ორი აუტსაიდერის — „მაიამისა" და „დენვერის" გამარჯვებებს, რაკი ესენი მოგებებით არ ანებივრებენ თავიანთ გულშემატკივარს. ხოლო ქართველთა წილი თავიანთი გუნდების წარმატებებში თვალსაჩინოა. „კლივლენდის" ბოლო წამებზე მძლეველ „მაიამის" ვოვა სტეფანიამ 13 ქულა და 11 მოხსნა მიაშველა, ხოლო „დენვერის" საკეთილდღეოდ 11 ქულასა და კარიერაში სარეკორდოდ ბევრ, 6 პასს გამოვიდა ნიკა ცქიტიშვილი, რაც მისი გუნდისთვის მისწრება იყო ძლიერ „ტორონტოსთან" ჭიდილში.

მართალია, „ტორონტო რეპტორზმა" წლეულს ცხრილის სიღრმეებში დაყვინთა, მაგრამ ეს მხოლოდ კანადური გუნდის ყოჩ ვინს კარტერის ტრავმის გამო. როცა კარტერი ფორმაშია „ტორონტო" ნებისმიერი მეტოქისთვის მოარული საფრთხეა. ხოლო კარტერი რომ ფორმაშია, მისი ამასწინანდელი 43-ქულიანი მატჩიც ცხადყოფს.

„დენვერის" მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა შეგირდებს პირველ ამოცანად სწორედ კარტერის გამოთიშვა დაუსახა. სუპერტორონტოელის პერსონალურ მეურვედ კი რაიან ბოუენი დანიშნა. ბოუენმა იყოჩაღა, სხვებიც კარგად აზღვევდნენ მას და „დენვერმა" პირველივე მეოთხედში შეასრულა ამოცანა. სანამ კარტერი დენვერელთა მარწუხებს თავს დააღწევდა და მესამე მეოთხედში 11 ქულას მოიხვეჭდა, მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 27:16, ხოლო ტაიმი 54:32 მოიგეს. 19 წლის ცქიტიშვილი თავისი გუნდის მექანიზმის მუშაობას არაფრით აფერხებდა, პირიქით, პასს არ აგვიანებდა და საჭიროებისას შეღეგიანად ისროდა კიდეც. ერთი სიტყვით, ისე ირჯებოდა, კაცი ვერ დაამაღლიდა „ნაგიტსის" სასტარტო ხუთეულში აგერ, მერამდენედ თამაშს.

**ირაკლი ფირაშვილი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 39 | 25 | 60,9 |
| ფილადელფია | 36 | 26 | 58,1 |
| ბოსტონი | 36 | 27 | 57,1 |
| ორლანდო | 33 | 32 | 50,8 |
| ვაშინგტონი | 31 | 33 | 48,4 |
| ნიუ იორკი | 28 | 36 | 43,8 |
| მაიამი | 21 | 43 | 32,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 39 | 23 | 62,9 |
| ინდიანა | 38 | 26 | 59,4 |
| ნიუ ორლეანი | 37 | 28 | 56,9 |
| მილუოკი | 32 | 32 | 50,0 |
| ატლანტა | 25 | 39 | 39,1 |
| ჩიკაგო | 23 | 42 | 35,4 |
| ტორონტო | 20 | 41 | 32,8 |
| კლივლენდი | 11 | 53 | 17,2 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 48 | 15 | 76,2 |
| სან ანტონიო | 44 | 18 | 71,0 |
| მინესოტა | 42 | 24 | 63,6 |
| იუტა | 36 | 27 | 57,1 |
| ჰიუსტონი | 32 | 30 | 51,6 |
| მემფისი | 22 | 41 | 34,9 |
| დენვერი | 14 | 51 | 21,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 45 | 19 | 70,3 |
| პორტლენდი | 41 | 22 | 65,1 |
| ლეიკერსი | 35 | 27 | 56,5 |
| ფინიქსი | 33 | 30 | 52,4 |
| გოლდენ სტეიტი | 31 | 33 | 48,4 |
| სიეტლი | 28 | 34 | 45,2 |
| კლიპერსი | 20 | 43 | 31,7 |

**საქართველოს 12 ჩემპიონატი**

**საქართველოს ჩემპიონატი**

**12 მარტი. ვერის ბაღი [illegible]**

**თსუ 116:80 მაკაბი**

32:23, 34:19, 23:10, 27:28

**თსუ:** მაისურაძე (20), ტურაშვილი (8), შანიძე (33), ორმოცაძე (3), კილაძე (5); გ. ჩხეიძე (12), ბ. ბერიშვილი (20), ვეფხვაძე (9), ზ. სანიკიძე (6), კორძაძე

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (21), კონჯარია, ვაშაკიძე (19), ფიცხელაური (8), სუხიშვილი (11); ქოქოსაძე (11), ერგემლიძე (2), ანდღულაძე, ტატუნაშვილი, აკოლაშვილი (8)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე; **კომისარი:** მურმან ქურიძე

**დინამო 104:91 სტუ**

27:33, 24:20, 22:26, 31:12

**დინამო:** თორთლაძე (13), ხოშტარია (8), რ. ჩხეიძე (4), ნინიაშვილი (13), მინაშვილი (20); აბრამიძე (7), ბექანიშვილი (2), ნაცვლიშვილი (8), ოგანესიანი (5), ვენსკუნასი (8)

**სტუ:** ტულუში (26), ხეცურიანი (8), ტუჯანი (9), დავითულიანი (5), მუშკუდიანი (12); ნოზაძე (2), გაგნიძე, მარხვაშვილი (3), ოთიურიძე (7), ლოსაბერიძე (17), ახალკაცი (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიკაშვილი; **კომისარი:** როლანდ ხომერიკი

# დინამომ ჯეოსელი გამოროთო

**ვერის** დარბაზმა გუშინ პრინციპულ მატჩს უმასპინძლა. კარგა ხანს დაუმარცხებელი „დინამო" — „სტუჯეოსელი". სასწორზე იდო პირველობა ცხრილში, რაზეც ორივე გუნდი სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდა.

„დინამოს" და სტუ-ს სადებიუტო მორიდებისა არაფერი დასტყობიათ, დაუზვერლად ეკვეთნენ ერთმანეთს. ბურთაობაც ლაღი და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე სანახაობრივი გამოვიდა.

ორივე გუნდი ეცადა, თავისთვის სასურველი ტაქტიკა მოეხვია მეტოქისთვის და ერთი შეხედვით, ეს უკეთესად გამოუვიდათ სტუდენტებს, რომლებიც უფრო ორგანიზებულნი ჩანდნენ. სტუ-ს თამაშში აშკარად შეინიშნებოდა დამუშავებული კომბინაციები, პასი იქით, პასი აქეთ და... ფართან მარტო დარჩენილი სტუდენტიც არ აცილებდა, დინამოელები კი უფრო ინდივიდუალური ოსტატობისა და გამოცდილების ხარჯზე გაღიოდნენ ფარს, რაც იმისთვის იყო საკმარისი, რომ სტუ-ელებს საგრძნობლად არ ჩამორჩენილიყვნენ.

კოტე ტულუში გონივრულად უძღვებოდა სტუ-ს შეტევებს. მან პირველ მეოთხედში აშკარად აჯობა დინამოელ ოპონენტ დავით თორთლაძეს, რომელიც ლევან მოსეშვილმა მეორე მეოთხედიდან გონს მოსასვლელად მცირე ხნით მოედნიდან გაიხმო. „მფრინავი" ზანგი ჟოლივეტ ტუჯანი სტუ-ს დაცვაში ბურჯივით იდგა, იგი სტუდენტთა ფარის სიახლოვეს ჩასაფრებულიყო და დინამოელებს ბურთს ჰპარავდა. დაცვაში ნაყოჩაღევი ტუჯანი უმალ პოულობდა მეტოქის ფარისკენ გაჭრილ დავითულიანს, ანაც ლოსაბერიძეს და სტუ-ც ქულებს აგროვებდა.

დინამოელთა დამრტყმელი ძალა იყო ნინიაშვილ-მინაშვილის ტანდემი, რომლის წყალობითაც ლევან მოსეშვილის გუნდმა მხოლოდ 6 ქულით, 27:33 წააგო პირველი ნახევარი.

მცირე შესვენების შემდეგ დინამოელებმა, როგორც იქნა, გასაღები მოარგეს სტუ-ს მწყობრ დაცვას და თამაში გაათანაბრეს. ირაკლი ხოშტარიას მთლად იდეალურად ვერ გამოსდიოდა მისთვის ჩვეული სწრაფი გარღვევები, მაგრამ პერიოდულად ახერხებდა სტუელ დამცველთა გარღვევას. თამაში გათანაბრდა, ლიდერი ხშირად იცვლებოდა, სანამ ბოლო მეოთხედის შუაში „დინამომ" არ იძალა.

ასე საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართულ შეხვედრაში ასეთ უღიმღამო ფინალს არავინ მოელოდა. „დინამომ" დიდებულად ჩაითამაშა ბოლო მეოთხედის სამწუთეული, რომელიც 12:0 მოიგო და საფინალო სირენამდე ორიოდ წუთით ადრე 93:86 დაწინაურდა. ამ დროისთვის სტუდენტთა გამრჯე ფორვარდი ალეკო დავითულიანი პერსონალურების მიზეზით სათადარიგოებს შეუერთდა და „სტუ-ჯეოსელსაც" იამაში გადასარჩენად აღარც დრო დარჩა და აღარც შეძლება.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 19 | 3 | + 433 | 41 |
| ბასკო | 23 | 17 | 6 | + 537 | 40 |
| სტუ | 21 | 17 | 4 | + 361 | 38 |
| თსუ | 21 | 15 | 6 | + 149 | 36 |
| აზოტი | 21 | 12 | 9 | + 25 | 33 |
| მაკაბი | 23 | 7 | 16 | - 420 | 30 |
| ქუთაისი | 23 | 4 | 19 | - 356 | 27 |
| სსუ | 21 | 5 | 16 | - 412 | 26 |
| აკადემია | 21 | 2 | 19 | - 317 | 23 |



[illegible] ფოტო

სტუელმა ლაშა ლოსაბერიძემ დინამოელი გოგი ნაცვლიშვილი აახტუნა

**PACIFIC LIFE OPEN**
**ინდიან უელსი. ჰარდი**
**კაცები**
**საპრიზო 2,245 მილიონი $**

**პირველი წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია)** — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 4:6, 7:5, 6:2; **როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია)** — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:7 (4:7), 6:4, 4:1 მანტიამ შეწყვიტა; **კარლოს მოია (5, ესპანეთი)** — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:0, 6:3; **ენდი როდიკი (6, აშშ)** — ტომას ენქვისტი (შვედეთი) 6:4, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)** — დავიდ ნალბანდიანი (10, არგენტინა) 4:6, 6:4, 7:5; **სებასტიან გროჟანი (11, საფრანგეთი)** — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:2; **ტიმ ჰენმანი (13, ბრიტანეთი)** — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:5, 6:2; **რაინერ შიუტლერი (15, გერმანია)** — უეინ ართურსი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:3); **მარსელო რიოსი (ჩილე)** — გასტონ გაუდიო (17, არგენტინა) 4:0 გაუდიომ შეწყვიტა; **გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)** — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:2, 6:4; **მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)** — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:3, 6:4; **ტომი რობრედო (ესპანეთი)** — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:2 ნიემინენმა შეწყვიტა; **ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი)** — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:2, 7:6 (7:2); **მარიანო საბალეტა (არგენტინა)** — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:5), 6:1; **გილერმო კორია (არგენტინა)** — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:0, 2:6, 6:0; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ)** — **ტოდ მარტინი (აშშ) 6:1, 3:6, 7:5**

# ჰიუიტმა ყულფი მოიხსნა

## ყანჩაფეხებას ორივე ფეხი ააწევინეს



იუნეს ელ აინაუი



REUTERS

ლეიტონ ჰიუიტი

კისკასმა ავსტრალიელმა ჭაბუკმა ლეიტონ ჰიუიტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ კაცთა ამქრის ყველაზე გაუტეხელი მეჩოგნეა და რომ ხასიათის საარაკო სიმტკიცით წინა თაობათა ისეთ ლეგენდებს ეტოლება, როგორებიც ჯიმი კონორსი, ბიორნ ბორგი თუ ჯიმ კურიე იყვნენ.

„არასოდეს თქვა — არასოდეს" — აი, ასეთი გახლავთ ამ ცეცხლოვანი ოზბიჭის სასიცოცხლო მთავარპრინციპი, რომლის ძალითაც მან იმ დღეს მაროკოელ ელ აინაუისთან თითქმის განწირული შეხვედრის შემოტრიალება და სამი მატჩბურთის გადარჩენა შეძლო.

ეს მეორე სეტის მიწურულს მოხდა, როცა ჭარმაგი, მაგრამ ხათქუნა და ჰიუიტისთვის ერთობ უხერხულად მოგლაჯუნე მაღრიბელი 5:4 იგებდა და მოწოდებაც მისი იყო. პირველი მატჩბურთი ავსტრალიელმა უზუსტესი ხელუკუღმით გაქვითა, მეორე — მიძალებული ჩოგნაობის შედეგად — თავად ელ აინაუისვე გააცუდებინა, მესამე კი ზედ ხაზზე დაბინავებული ბასრი ხელწალმით გაანეიტრალა.

ამგვარი წარუმატებლობით ფსიქიკურად გაბზარული მეტოქის ბოლომდე დათრგუნვა შარშანდელი ჩემპიონისთვის უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენდა — მან უმალ ჯერ სეტი უკუიგო, გადამწყვეტ ხელში კი მეტოქეს ორი მოწოდება გაუტეხა და საკუთარ უპირატესობაში აღარავინ დაუეჭვებია.

შეგახსენებთ, რომ ჰიუიტი და ელ აინაუი ერთმანეთს მეექვსედ ხვდებოდნენ და მათ აქამომდელ შეხლებში ამქრის უსტაბაშს სამჯერ ემარჯვა. ბოლოჯერ მათ ორი თვის წინ, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში იდავეს. 21 წლის ოზი მასზე ათი წლით უფროსმა მაროკოელმა მაშინ აშკარად და დაუჯერებლად დაჩაგრა.

ამრიგად, იმდღევანდელი გამარჯვება ჰიუიტის ერთგვარ რევანშადაც უნდა განვიხილოთ — მას ხომ წელსვე ეწადა, პირადი სლემზარდახშა მშობლიური სლემტიტულითაც გაემდიდრებინა...

ჰიუიტი: „ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა მატჩპოინტებზე საოცარი ბურთები ჩავუსვი... ასეთ დარტყმებზე ბოლო დროს ბევრს ვვარჯიშობდი და შედეგიც სახეზეა. არადა — გოჯი იქით, გოჯი აქეთ და მეყოლე ვარდივით... იუნესი დღეს ისევე მშვიდად თამაშობდა, როგორც მელბურნში — უმძლავრესად აწოდებდა და მერე ხელწალმებით აყუმბარებდა. ნელნელა მახრჩობდა, რა... მე კი მაშინდელივით ვერაფრით ვპასუხობდი და აზრზე მხოლოდ მაშინ მოვედი, როცა მატჩბურთები მოვიგერიე. ვიფიქრე, მოვკვდები, მაგრამ არ მოვაგებინებ-მეთქი... როგორც ხედავთ, გამომივიდა."

სხვაფრივ — კალიფორნიულმა პუბლიკამ იმ დღეს სხვა რიგიანი მატჩებიც იხილა.

ამათგან უწინარესად სათქმელია მესლემტიტულეთა განლაგანებზე, რომელთაგან ერთშიც გუსტავო კუერტენმა გორან ივანიშევიჩი დაჯაბნა, მეორეში კი კარლოს მოიამ ტურნირის სამგზის გამარჯვებული, წლეულს დიდი ჩოგბურთიდან წამსვლელი მაიკლ ჩანგი გამოაკლო.

სამგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელმა უიმბლდონის 2001 წლის ჩემპიონს იოლად მოუგო. ხორვატს ბოლომდე ჯერაც არ მოშუშებია ერთი წლის განმავლობაში მტკივანი მარჯვენა მხარიდაყვი, რის გამოც მეტოქის წილ კორტს ჩვეული ზალპა-ზულპით ვეღარ აოხრებს ხოლმე.

ისინი ერთმანეთს მერვედ შეხვდნენ და გუგა გორანს უკვე 6:2 უგებს.

რაც შეეხება ჩანგს, ის ტურნირებზე მხოლოდ გამოსათხოვებლად და სასპატიო ჩინ-მენდლებისთვის თუ დაიარება, თორემ მოპაექრედ რომ ველარ ვარგა, ამაზე იმდღევანდელი ანგარიშიც მეტყველებს — მოიამ მას 6:0, 6:3 გადაუარა.

თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ — მოიაცა და ჩანგიც მეროლანგაროსენი არიან. პირველმა იქ 1998 წელს იმარჯვა, მეორემ კი — მასზე 9 წლით ადრე, როცა ჯერაც 17 წლის ყმაწვილი იყო.

იმ დღეს მათ მეოთხედ ითამაშეს და ჩანგს დედაბოძზე ჩოგნის ჩამოკიდება ისე მოუწევს, რომ მოიას ჯავრი ეგრეც შეუჭმელი დარჩება — 0:5.

და კიდევ — უკანასკნელ 16 შეხვედრაში მე-15 გამარჯვება მიითვალა თებერვალში ორი ტიტულის (მარსელი, დუბაი) მომხვეჭმა და თვის „უჯომარდეს მეჩოგნედ მიჩნეულმა როჯერ ფედერერმა.

21 წლის ალპელი ესპანელ მანტიას ალბათ ისედაც მოერეოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს ანაზდად ფალარათმა წამოუარა და მანაც კორტიდან გაცლა არჩია.

**ქალები**
**საპრიზო 2,1 მილიონი $**

**მეოთხე წრე**

**კიმ კლაისტერსი (1, ბელგია)** — ნატალი დეში (15, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:1; **ამანდა კუცერი (16, სამხრეთ კორეა)** — დანიელა ჰანტუხოვა (3, სლოვაკეთი) 6:4, 6:4; **ჩანდა რუბინი (8, აშშ)** — აი სუგიამა (21, იაპონია) 0:6, 6:4, 6:4; **კონჩიტა მარტინესი (26, ესპანეთი)** — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 6:1, 6:2

ტურფათა ჩარდახის უმთავრეს მოულოდნელობად შარშანდელი ჩემპიონის, 19 წლის ყანჩაფეხება დანიელა ჰანტუხოვას გავარდნა იქცა.

კეკლუცმა სლოვაკმა 31 წლის ჩია კუცერის 33 შეცდომის წილ 59-ჯერ მიჰქარა და გემბანს მიღმა აღმოჩნდა. კუცერი, ვინაც წინისწინა კვირაში აკაპულკოში კარიერის მეცხრე ტიტული მოიღვაწა, ინდიან უელსის 1993-94 წლების ფინალისტია, ხოლო შარშან მეოთხე წრიდან მარტინა ჰინგისმა გამოაგდო.

და მერე რა, რომ ჰანტუხოვამ შარშანდელ ფინალში სწორედ ჰინგისს აჯობა? გამოდის, რომ არც არაფერი. სლოვაკი მსოფლიოში რანგით მეხუთე ჩოგანს კი აქნევს, მაგრამ ამ ერთადერთი ტიტულის მეტი ჯერ არაფერი გააჩნია...

სხვაფრივ — ნატალი დეშისთან სამსეტიანი ბუქნაობა დასჭირდა ტურნირის მთავარგანთესილ კიმ კლაისტერსს, ხოლო ამერიკელმა ჩანდა რუბინმა წლეულს უკვე მეორედ მოახერხა, 0:6-ით წაგებული პირველი სეტის შემდეგ ორი სეტი უკუიგო და მომდევნო წრეში გაეღწია. მან იმ დღეს აი სუგიამა, ფუმფულა კიმის მეწყვილე და ამ კვირას სკოტსდეილურ ფინალში კიმისავე მძლეველი გოგო დაიმორჩილა.

# მარტინა ჰინგისმა ოცნება დაასაფლავა



**მარტინა ჰინგისი** უკვე შეურიგდა იმ აზრს, რომ მისი საჩოგბურთო კარიერა დასრულებულია.

„არავითარი ილუზიები. მორჩა. ჩემს ოცნებებს ბოლო მოეღო — უთხრა მან ციურიხულ ყოველდღიურ გაზეთ „ტაგესანცაიგერს" — ცხადია, უჩოგბურთოდ მე ვერ ვიცხოვრებ, მაგრამ ამას ჩემთვის ველარ ექნება ის მნიშვნელობა, რაც აქამდე ჰქონდა".

„საშინელებაა, როცა 22 წლისას რაღაც კარგის დასასრულზე გიხდება ლაპარაკი, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის — თვალები უნდა გაახილო და რეალობას გაუსწორო".

შეგახსენებთ, ხუთგზის მესლემტიტულე შვეიცარიელმა შარშან — მაისსა და ოქტომბერში ორი ოპერაცია გადაიტანა, პირველად — მარჯვენა კოჭზე, მეორედ — მარცხენაზე. ოქტომბრის შემდეგ ის აღარსად გამოჩენილა, ხოლო ამ რამდენიმე ხნის წინ პირველად თქვა ის, რომ ფეხები მას კორტზე დაბრუნების საშუალებას არ მისცემს.

ახლა ის ციურიხის მახლობლად ცხოვრობს, ინგლისურს ეუფლება, ცხენებს დააგელვებს და ამასწინათ რვა წლის ბედაურიც იყიდა...

კითხვაზე, თუ რამდენი ხანი შეუძლია ჩოგბურთის თამაში ისე, რომ ტკივილი არ იგრძნოს, „ტაგესანცაიგერის" ჟურნალისტს მან ასე უპასუხა: „სადღაც 60-90 წუთი. მაგრამ თუკი ყოველდღე ვივარჯიშებ და ვითამაშებ, ეს მაჩვენებელი დღითი დღე გაუარესდება".

40 საერთეულო და 36 საწყვილო ტიტულის მომგებ ჰინგისს კარიერის განმავლობაში 18 მილიონი დოლარი მოუხვეჭია. მის ქომაგებს აინტერესებთ, როგორ ეცდება დიდი ჩოგბურთიდან დროზე ადრე წასული უნიჭიერი გოგო ფულის შოვნას.

„ეს ბევრნაირად შეიძლება — ამბობს მარტინა — ჩოგბურთში ჩემთვის საიდუმლო არ არსებობს და ვეცდები, სარგებელი უწინარესად ამ საქმიდან ვნახო... არა, მაინცდამაინც მწვრთნელობას არ ვაპირებ — მე თავადაც „ძნელად გასაწვრთნელი" ბავშვი ვიყავი — მაგრამ თუკი ვინმე რჩევას მთხოვს, სიამოვნებით დავეხმარები. ისე კი — ჩოგბურთში საკეთებელს რა დალევს".

ალბათ — ვერც ვერაფერი.

სამაგიეროდ — ჰინგისის ხიბლსა და ქარიზმას საჩოგნეთი კიდევ დიდხანს ვერ აინაზღაურებს.

თუკი ამის ანაზღაურება საერთოდ მოხერხდა.



ტოდ ვუდბრიჯისთვის მთავარი სტაბილურობაა

# ჩალის გემო

## კაცების ჯანყი ჩაიშალა

**ეიტიპის** მეჩოგნეთა საბჭოს ვიცეპრეზიდენტი ტოდ ვუდბრიჯი ამბობს, რომ კაცთა ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაცია (აიმტიეი), რაიც ეიტიპელ მამათაგან განდგომის მოსურნე მოთამაშეებმა უნდა დაარსონ, უსათუოდ ჩაფლავდება.

„ეგ იმიტომ, რომ მათ საკმარისი მხარდაჭერა არა აქვთ — ფიქრობს ვუდბრიჯი — რასაც ისინი მოითხოვენ, ის ისედაც არსებობს. ჩვენ უკვე გვყავს წარმომადგენლები და თუკი ვინმეს მათი ქმედება არ აკმაყოფილებს, მათ გადარჩევაზე ადვილი არაფერია... არსებითად — მოჯანყენი მხოლოდ მოთამაშეთა ახალი საბჭოს არჩევას ითხოვენ."

შეგახსენებთ, რომ მოჯანყეებმა, რომელთა ბელადებიც სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირა და ბელგიელი ლორენს ტილემენი არიან, თავიანთი უფლებების დასაცველად უკვე დაიქირავეს ერთ-ერთი ნიუიორკული იურიდიული ფირმა.

ეიტიპელ მამებს ისინი იმის გამო ემდურიან, რომ კაცთა ჩოგბურთისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მათ ხმას ყურს არავინ ათხოვებს და რომ ისინი საკმარისად ვერ მონაწილეობენ ორგანიზაციის ფინანსთა განკარგვაში.

ვუდბრიჯის ცნობით, ამ კვირაში ეიტიპის მთავარმა აღმასრულებელმა მარკ მაილზმა კაცთა ზეოცეულის 16 მეჩოგნე ისტუმრა და ამათგან ყველამ ეიტიპისთან თანამშრომლობის გაგრძელებას დაუჭირა მხარი.

ზეპურ მეჩოგნეთაგან ამ სერობას მხოლოდ ლეიტონ ჰიუიტი, ანდრე აგასი, ალ კოსტა და ალექს კორეჩა არ ესწრებოდნენ.

აგასი დაშავებული იყო და ინდიან უელსი შეხვედრამდე დატოვა, მოთამაშეთა საბჭოს წევრებმა — კოსტამა და კორეჩამ განაცხადეს, რომ ისედაც ყველაფერი კარგად უწყიან და არავითარი ახალი შეხვედრა არ სჭირდებათ, ხოლო ჰიუიტმა პირადად ვუდბრიჯს აცნობა, რომ დაუსწრებლობა ურჩევნია.

„შეხვედრაზე მისულმა მეჩოგნეებმა დაადასტურეს, რომ ისინი სავსებით იზიარებენ პრობლემათა ეიტიპისეულ ხედვას" — ამბობს ვუდბრიჯი.

„ამიტომ მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ფერეირა და კომპანია ახალი ასოციაციის დაარსებას უკვე მომავალ კვირაში მოახერხებს. ჯერ ერთი, მათ მხარს არავინ უჭერს, მეორეცაა და — საჭირო ფულს სად იშოვიან?"

ვუდბრიჯის აზრით, მოთამაშეთა ამჟამინდელი დრტვინვა და შფოთი ეიტიპის მიერ წლეულს საპრემიებო 10-მილიონიანი ფონდის გაუქმებამ გამოიწვია. ეს ათი მილიონი მასტერსტურნირზე ნაჩაუქევ მოთამაშეებს უნდა განაწილებოდა.

ფონდის გაუქმება ეიტიპელ მამებს სპონსორთა უარობის გამო მოუხდათ. ამიტომ ვუდბრიჯი ფიქრობს — როცა ეკონომიკური ვითარება მსოფლიოში დასტაბილდება, მეფულეები ჩოგბურთისაც მოუბრუნდებიან.

**ლევან ძელაურაძე**



[illegible] ფოტო

სოსო მაისურაძე თავის ყოჩაღ ბიჭებთან

# ესეც საყვედური: თქვენი ბავშვები უფროსების საქმეში ერევიან

*გეხსომებათ, ალბათ, „ლაგუნა ვერეს“ ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდის წევრები, ძირითადად 1987-88 წლებში დაბადებულნი, უკრაინის უფროსთა ჩემპიონატში რომ გამოდიან. მათ მარიუპოლში მესამე წრის შეხვედრებიც ჩაატარეს, შვიდი შეხვედრიდან სამი მოიგეს, ამდენივე წააგეს, ერთიც ფრედ დაასრულეს, სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე მყარად დამკვიდრდნენ და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს.*

— ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ — გვეუბნება გუნდის უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე — წლეულს ჩვენი მთავარი საზრუნავი ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში გამოსვლაა. ამ შეჯიბრისთვის სათამაშო პრაქტიკის მიღება საქართველოში შეუძლებელია, რადგან ჩვენს გარდა სხვა გუნდი არ არსებობს. ამიტომ უკრაინის ჩემპიონატს მივაშურეთ და უკვე 20-მდე მატჩი ვითამაშეთ. ბიჭები სულ უფრო და უფრო შედიან ფორმაში. თუ პირველ ეტაპზე წაგებული შეხვედრები დიდი სხვაობით დავთმეთ, მერე და მერე თანაფარდობა მინიმუმამდე შევამცირეთ. მაგალითად, „ილიჩოვეცის“ პირველ გუნდთან, რომელიც უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდი, ჩემპიონი და ახლანდელი ლიდერიცაა, 7:9 წავაგეთ, კიეველებთან — 6:7, ხოლო ლვოვის დინამოელებთან — 3:4. ბოლო ორი მარცხი ჩვენთვის მეტად დასანანი იყო, რადგან დიდი შანსი გვქონდა, არ წაგვეგო. ლვოველებთან, მაგალითად, ბოლო წამზე მოთამაშე გაგვიგდეს, რამაც უკრაინელებს დაწინაურების საშუალება მისცა, კიეველებთან კი ასევე შეხვედრის ბოლოს პენალტი ვერ გამოვიყენეთ.

**— თქვენ წაგებულ შეხვედრებს იხსენებთ, მაგრამ გამარჯვებებიც ხომ იყო?**

— მოვუგეთ ხარკოვის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის გუნდს (5:4), კრამატორსკის „ვიტიაზს“ (7:4) და მარიუპოლის მეორე გუნდს (8:5), ფრედ 4:4 კი სევასტოპოლელ მეზღვაურებთან ვითამაშეთ.

**— თქვენ კი ხართ კმაყოფილი მარიუპოლიში ჩვენი გუნდის თამაშით, მაგრამ თავად უკრაინელი სპეციალისტები როგორი აზრისანი არიან თქვენს აღსაზრდელებზე?**

— ყველანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჩვენი ბიჭები შეხვედრიდან შეხვედრამდე აუმჯობესებენ თამაშის ხარისხს და გვამხნევებენ კიდეც. თუმცა, მანამდე რუსეთის პირველობებში ჩვენი გამოსვლებისა არ იყოს, უკრაინაშიც ზოგი ფიქრობს, რომ მათ შინაურ საქმეებში ვერევით და ეს დელიკატურად გვაგრძნობინეს კიდეც. ყველაზე მეტად, მგონი, ხარკოველები მოვიმდურეთ, რადგან ისინი ფინალს მიღმა დავტოვეთ.

**— გუნდი მთლიანად თბილისელებით იყო დაკომპლექტებული თუ შარშან მოსკოვში „ექსპორტირებული“ თქვენი ყოფილი ახალგაზრდა წყალბურთელებიც დაიმატეთ?**

— მოსკოვის „დინამოს“ მოთამაშეები კოტე გეგელაშვილი და თამაზ მანძულაშვილი, აგრეთვე ცსკა-ს მეკარე ზურაბ ჭუმბურიძე, მართალია, „ლაგუნა ვერეს“ წევრები აღარ არიან, მაგრამ ჩვენს ნაკრებში, ცხადია, უთუოდ გამოვლენ. ამიტომ ისინი უკრაინაში თან გვახლდნენ და კარგადაც ითამაშეს. მათ გარდა თამაშობდნენ: ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, გიორგი ხვედელიანი, ნოდარ რაფავა, ილია ბუტიკაშვილი, მიხეილ ბალათურია, გიორგი ბიბილეიშვილი, ზურაბ რურუა, გივი კილურაძე, გიორგი ცირეკიძე, თორნიკე თოდაძე.

**ავთანდილ ჭუჭიშელი**





ანდრეი კივილევი

# ველოზედოსწერა: სიკვდილი გზაზე

**ტრაგედია** დატრიალდა საფრანგეთში პარიზ — ნიცას ველოტურზე. მრავალდღიანი რბოლის მეორე ეტაპმა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა — დაიღუპა ცნობილი ყაზახი ველომრბოლი ანდრეი კივილევი.

ინციდენტი გზაზე მეორე ეტაპის ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე, სამშაბათს მოხდა. ფრანგული გუნდის „კოფიდისის“ 29 წლის ლიდერი სხვა ველომრბოლს შეეჯახა, წაიქცა და თავი დაარტყა. კივილევი სასწრაფოდ გააქნეს ჰოსპიტალში და იმ ღამეს ოპერაცია გაუკეთეს. ყაზახი სპორტსმენი გუშინ დილით გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

„ყველანი გაოგნებული ვართ. ეს ტრაგედია გვაფრთხილებს, თუ რამდენად საშიშია სპორტის ეს სახეობა“ — ამბობს „კოფიდისის“ დირექტორი ფრანსის ვან ლონდერსეერი.

გარდაცვლილი კივილევის ხსოვნას მოეძღვნა მესამე ეტაპი, სადაც ველმრბოლებმა გიჟურად ქროლვის ნაცვლად სამგლოვიარო სვლით გადაკვეთეს ფინიში. პელოტონს რამდენიმე მეტრით უსწრებდნენ მხარდამხარ ჩამდგარი კივილევის თანაგუნდელები.

ანდრეი კივილევი საკმაოდ ძლიერი ველომრბოლი გახლდათ. მისი სპორტული კარიერის ყველაზე თვალსაჩინო მიღწევა 2001 წელს ტურ დე ფრანსზე დაკავებული მეოთხე ადგილია.

ანდრეი კივილევს ექვსი წლის შვილი დარჩა.

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ**
**მამუკა ჩიხლაძეს**
**დედის**
**გარდაცვალების გამო**

**საქართველოს საციგაო სპორტისა და ტრამპლინიდან ხტომის ფედერაციები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი სათხილამურო ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**
**ბეჟან ქუმარიტაშვილი**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს**



## რეგულარული ჩემპიონატი

— 12 მარტი —

**კოლუმბუსი 0:2 დალასი** *0:1 0:1 0:0*
0:1 დალინი (10), 0:2 ოტი (27)

**ოტავა 4:3 ბოსტონი** *2:0 0:2 1:1 1:0*
1:0 რასუნენი (17), 2:0 ლემიშინი (19), 2:1 ტორნტონი (22), 2:2 ტორნტონი (25), 2:3 აქსელსონი (51), 3:3 ახარა (53), 4:3 ბონკი (61)

*ოტავამ უკვე გაინაღდა პლეი ოფი*

**ნიუ ჯერსი 2:3 ატლანტა** *1:1 0:2 1:0*
1:0 მედენი (5), 1:1 სნაიდერი (13), 1:2 ბარტეჩკო (21), 1:3 სნაიდერი (27), 2:3 ჯიონტა (50)

**კალგარი 2:5 ედმონტონი**
*1:0 1:2 0:3*
1:0 კლარკი (4), 1:1 რ. სმიტი (21), 2:1 კონროი (31), 2:2 მარჩანტი (39), 2:3 ლარაქი (49), 2:4 პორნკოფი (57), 2:5 კოშრი (60)

**ვანკუვერი 4:3 აილენდერსი** *2:1 0:1 2:1*
1:0 მორისონი (2), 1:1 კაშა (7), 2:1 ბერტუცი (12), 2:2 ბლეიკი (29), 2:3 რობიტაილი (45), 3:3 მორისონი (48), 4:3 სალო (55)

**სან ხოსე 2:4 სენტ ლუისი** 0:2 2:1 0:1
0:1 დრეიკი (8), 0:2 სტილმანი (12), 0:3 ტკაჩუკი (25), 1:3 ზალეფაკი (28), 2:3 შტურმი (29), 2:4 ბოგუნიცკი (49)

# ბუფალოს ხმალი და რობ რეის კისერი

## თქვენ თქვენი ერთგული მუშტები გაყიდეთ, სერ

**ასეთი რამ** ლიგის ისტორიას არ ახსოვს. 2003 წლის დედლაინმა მართლაც რომ გასაოცარი იყო. ბოლო დღეს სარეკორდო, 24 გაცვლა მოხდა. ამ მოვლენებში 44 მოთამაშე (!) აღმოჩნდა ჩართული თუ ჩათრეული. თუმც რაოდენობა კი არა, აქ სულ სხვა რამ არის მთავარი. სამშაბათს აღმოსავლეთსა და დასავლეთში მე-8 ადგილზე მყოფმა ანუ პლეი ოფში გამსვლელმა გუნდებმა ლიდერები გაცვალეს! „ნიუ იორკი აილენდერსმა“ ძირითადი მეკარე კრის ოსგუდი სენტ ლუისში გაუშვა, თავად კი გამოუცდელი, 20 წლის რიკ დიპიეტროს და მთელი კარიერის განმავლობაში დუბლიორად მოთამაშე გარტ სნოუს ამარა დარჩა. არანაკლებ მოულოდნელ ტრეიდები განახორციელა დასავლურმა ედმონტონმა, რომელიც ერთბაშად ორ ლიდერს შეელია. კლუბის საუკეთესო ბომბარდირი ენსონ კარტერი რეინჯერსში გადაბარგდა, ხოლო წამყვანი მცველი იანე ნიინიმაა — აილენდერსში. ცხადია, ამ დანაკარგებს ერთგვარი კომპენსაციაც მოჰყვა, მაგრამ ამ ორი კლუბის ბოსების ლოგიკა ერთობ გაუგებარია. „შოკში ვარ. ყველაფერს ხომ თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს“ — გაოგნებულია შავკანიანი კარტერი, რომელსაც კლუბის გამოცვლის გამო პლეი ოფის დროს ალბათ დასვენება მოუწევს, ვინაიდან მისი ახალი კლუბის სათასო პერსპექტივები ერთობ ბუნდოვანია.

რაც შეეხება დანარჩენ გაცვლებს, ისინი ასე თუ ისე ექვემდებარება ლოგიკას და მათში მონაწილე კლუბებს შვება უნდა მოუტანოს. უკლებლივ ყველა ფავორიტმა გააძლიერა სუსტი რგოლები. დეტროიტმა შემტევი მცველი მეტიუ შნაიდერი შეიძინა ლოს ანჯელესისგან. კოლორადომაც ასევე მცველი, ბრაიან მარჩმენტი შეიმატა. სან ხოსესა და სენტ ლუისის გაცვლაზე უკვე ვთქვით. როგორც იქნა, „ბლუზმენებმა“ მეკარის პრობლემა მოაგვარეს, თუმც ოსგუდი ალბათ მაინც არ არის ის, ვისაც ეს გუნდი ყველაზე მეტად ისურვებდა. სენტ ლუისის ბოსებმა მანამდე ფინიქსელ შონ ბურკს დაადგეს თვალი, მაგრამ გარიგება ვერ შედგა. ყველაზე მდიდარმა კანადურმა კლუბმა, ტორონტომ, ფული არ დაზოგა და ოუენ ნოლანის გარდა კიდევ ოთხი მოთამაშე შეიძინა, მათ შორის სახელოვანი ვეტერანები — ფილ ჰაუსლი და დუგ გილმორი.

აუტსაიდერებიდან ყველაზე მეტად პიტსბურგმა მოინდომა. მარიო ლემიეს გუნდმა ერთბაშად 5 ტრეიდი განახორციელა, რომლებშიც ლამის გუნდის ნახევარი ჩართო და დაახლოებით 4 მილიონი ეკონომია გააკეთა. არანაკლებ იაქტიურა ბუფალომაც. მან თვით რობ რეიც კი არ დაზოგა, მოთამაშე, რომელმაც 14 წელიწადს უერთგულა ამ გუნდს და ღირსეულად ატარა „ხმლების“ მთავარი მოჩხუბარის სახელი. ოტავაში აღმოჩნდა.



რობ რეი

**სამველ ლარიბიანი**



ექსედმონტონელი შავი ფორვარდი ენსონ კარტერი
აწი „რეინჯერსისთვის“ გაიტანს



REUTERS ნიუ იორკიდან

# ძველთა გილდია

ნიუ იორკში პრესკონფერენციაზე შეყრილან კრივის ცოცხალი ლეგენდები, საშუალო წონის ძველი ჩემპიონი ჯეკ ლამოტა (მარცხნივ) და მძიმე წონის პრეტენდენტი ჯერი კუნი. კუნის მოკრივეთა ორგანიზაცია დაუარსებია, რომელიც ძალიან ჰგავს პროფკავშირს. ეს გილდია მოკრივეებს სამედიცინო საკითხებში, ყოფასა და დასაქმებში ისევე დაეხმარება, როგორც ფსიქოლოგიურ მზადყოფნასა და ვარჯიშში.

# ორი იმპერატორი

ვირტუალური სამყაროს ორი იმპერატორი, ბილ გეიტსი (მარცხნივ) და პოლ ალენი ჩამომსხდარან სიეტლის „ქი არენას“ სკამებზე და იქაური „სუპერსონიკსისა“ და „პორტლენდ თრეილ ბლეიზერზის“ თამაშს უცქერენ. ოდესღაც მათ ერთად დააარსეს „მაიკროსოფტი“ და მილიარდერებიც შეიქნენ. გეიტსი მეექვსე წელიწადია, სამყაროს უმდიდრეს ადამიანად სახელდება, ხოლო ალენმა კარგახანია საერთო ბიზნესი მიატოვა და ახლა პორტლენდის საკალათბურთო და სიეტლის საფეხბურთო გუნდების პატრონობით ერთობა.



REUTERS სიეტლიდან



# ბექემივით

ეს ამბავი კინოში ხდება, მაგრამ ცხოვრებაშიც შემჩნეულია, რომ მთელი მსოფლიოს გოგოები დევიდ ბექემს ეთაყვანებიან და ბევრს კერპადაც გამოუცხადებია. ბრიტანულ კომედიაში „შეუბერე ბექემივით“, ერთი სიქჰი გოგო ჯესი, რომელსაც პარმინდერ ნაგრა ასახიერებს, მკაცრი მშობლების აკრძალვის მიუხედავად ფეხბურთელი ხდება.



REUTERS ჯეფრის ბეიდან

# კრიკეტის დღეები

სამხრეთ აფრიკაში გადამწყვეტი დღეები ჩამოდგა კრიკეტის მსოფლიო თასისთვის ბრძოლაში. ფინალი 23 მარტს გაიმართება იოჰანესბურგში, ჰოდა, რა გასაკვირია, იოჰანესბურგის შავ გარეუბან საგანე ბრაკპანში რომ ზანგის ბიჭები კრიკეტს ტაფელოსნობდნენ. ამასობაში კი აფრიკულ ზღვისპირეთს გასჩვევია ავსტრალიელთა გუნდის მეტაფელე მეტიუ ჰაიდენი, რომელსაც უკვე მერამდენედ მოუსწრია სერფით ტალღებზე გალივლივება. აქვე ითქვას და, დაუმარცხებელი ავსტრალიის გუნდი უკვე ნახევარფინალშია.

REUTERS კვიტფიელიდან



# მორიგი ეტაპი

დღეიდან ნორვეგიაში, კვიტფილში სწრაფდაშვებაში მსოფლიო თასის მორიგი შეჯიბრი დაიწყება. ამიტომ, ოსლოდან 200 კილომეტრით მოშორებულ ამ სამთო ადგილას ფიცხელი ვარჯიშობა გახურებულა. მსოფლიო თასის საერთო ცხრილის ლიდერები, ავსტრიელი შტეფან ებერჰარტერი (მარჯვნივ) და ამერიკელი ბოდი მილერი ვარჯიშის შემდეგ კარგ ხასიათზე ჩანან.



REUTERS ბრაკპანიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კოთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამარ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ხვედა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭეჭბურიძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge